



საქართვილო ნახატებიანი  
ჟურნალი

იზარდე, მწევანე ჯეჯილო,  
დაპურდი, გახდი ყანაო!..

ი. დ.

№ VII

ივლისი, 1907

© ფელიფაში მეთვარამეტე ©

თ ვ ი მ ი ს ი

აღექტრომბეჭდავი ამს. „შრომა“, მიხეილის ქუჩა, № 65  
1907



— ଫୁରତବୀଲାତ ଶ୍ଵେତା! ଗ୍ରହି ନାଦିଖି ରମଦ ଛିନ — ଏହି ଉପାନ୍.

## მოსარეცხენ.



ბა, ნინა, ჩუმად იუბა,  
შენც გესმოდეს, თამარ ქალო,  
სანაძ სარეცხს გავათავებ,  
გული აღარ გამიწეალო.

ნინას აღარ წაეჩიუბო,  
შენ დიდი სარ, ის პატარა;  
თქვენთვის წენარად ითამაშეთ,  
რაც იცელექთ, ისიც ქარა!

უჰ, სარეცხი დღეს დიდი მაქვს,  
ხუმრობაა განა ესა?  
მის დასაპვნას, ამოვლებას,  
მოუნდები მე მთელ დღესა.

ოი, თამრო, შე კუდრაჭავ,  
მუდამ ცელქო, ონავარო!  
ეს მოთხვრილი კაბა, მითხარ  
კაბას როვორ დავაგვარო?!

ესეც არაფერი არი,  
გავრცეხავ და გავამმრალებ,

მაგრამ, იცი, კვლავისათვის  
 რასა გთხოვ და რას გავალებ:  
 გაქათქათებული კაბა  
 შემდეგ აღარ ძოისვარო...  
 დაიღალა ძოსარეცხე,  
 ხვითქში სცურავს ქალი მარო.  
 თოჯნებისა თავისათვის  
 ჩუმათ გულში იცინიან:  
 შენი დაღლა, ან სარეცხი,  
 მეგობარო, რას გვიქვიან?  
 თუ შეგეძლო მოგეთხუნა  
 შენ ცელქობით ჩვენი კაბა,  
 მაგ დადეგ და ამორეცხე,  
 შენვე სწავლი შენი ჯაფა!

შ. მღვიმელი





მოწეალე

ბეღურები.

ერთ ქალაქის დიდ ქუჩაზე ერთმა  
მსწავლულმა კაცმა დაინახა, ოომ  
რამდენიმე ბეღურა ჰქვებავდა ერთს  
ბეღურას. ამან მიიჩიდა ამ მსწავლუ-  
ლი კაცის უურადღება, ოადგან ბე-  
ღურა, ოომელსაც ჰქვებავდენ ბარტ-  
ეთ აღარ იქო. ეს კაცი მიუახლოვა  
და ბეღურებს, ოომ უფრო კარგათ  
დაენახა.

ამ დოოს შეშინებული ბეღურები აფრინდენ და  
ის ბეღურა კი, ოომელსაც ჰქვებავდენ ქუჩაში დარ-  
ჩა, სანამ არ დაიჭირეს. ეს ბეღურა თურმე ბრძა უო-  
ფილიერ. მსწავლულმა კაცმა მიანება ქუჩაში ბრძა  
ბეღურა, მაშინ სხვა ბეღურები დაეხვივენ და დაუწეუს  
ადრინდელივით გამოკვება.

ამ დოოს ერთბაშად მოისმა უომის ჭრიჭინი,  
შეშინებულმა ბეღურებმა შეისვეს ზურგზე ბრძა ბეღუ-  
რა და გააქანეს მახლობელ სახლის სახურავზე.

# ლუას თავგადასაკალი


(გუძღვი ალექსანდრას).

ლუას რომ საქმე მოუკიდა, მისა თანა თქვენ მტერს და დუშმანს, სირცხვილით ჯერაც სწორეთ ვერ შეუხედნია დედისთვის თვალებში.

თიბათვის ცხელი დღეები იქო. ლუას დედ-მამა და მისი ური მმა დეიდა სეფორესთან იუვენ მიწვეულნი სოფელში კალესიის დღეობაზე. შესუთული ქალაქის ჭაერიდან მისული ლუა და მისი მმები სოფელში თავისუფლათ ჰერმობდენ თავს და მთელი დღეები სულ ველ-მინდორში ატარებდენ.

დეიდა სეფორე უშვილო იქო და ბავშებს სულში იძერენდა, არ იცოდა, როგორ ეცა ჩატივი. სეფორეს ქმარი გიგოც, რომ დაინახავდა ამ ბავშებს, სიხარულით აღარ იქო.

დღეობაზე უოველ სახლიდან მოისმოდა სიძლერ-კიუინა, კისკის-ხარხარი უმარტვილ ქალ-გაუთა. დაირის და



ჩონგურის ხმა. ამ დღეობისათვის უოველი კაცი, ლუას რიბი თუ მდიდარი ემზადება; სულაც რომ არა ება დოსტა, მაინც იძოვის საკლავს და დვინობურს. უოველი ნათესავი მოიგონებს თავისიანებს იმ დღეს, რაც უნდა ცხოვრების მძიმე უღელი აწვებოდეს, მივა მათან, ისიამოვნებს და მერე ისევ ისე შეუდგება ჩვეულებრივ ჭაპან-წუკეტას, მუშაობას.

სეფორეს ქმარი, გიგო, ღარიბი კაცი იუო, მაგრამ დიდი მზადება ჭიონდა ხოლმე სადღეობოთ. რომ დესაც ლუას დედ-მამა ეწვია, მაშინ ხომ სიხარულით ცას ეწეოდა.

ორ-სამ დღეს გასტანა სტუმრიანობაშ. სანდახან სიმღერა კიდევ მოიხმოდა. მასპინძლები მალზე დაღალულ-დაქანცულნი ზოგი მოსვენებაში იუვენ, ზოგი კი მუშაობას შეუდგენ.

რას აკეთებდა ამ ღროს ჩვენი ხუთი წლის, მეტის-მეტათ ცელი ლუა?

დედა უჯავრდებოდა ლუას, მაგრამ ის უერსაც არ იბერტუამდა. შემჯდარიულ პატარა ჯოხზე, ვითომ ცხენიაო და დღეში ასჯერ ურბენდა გიგოს ეზოს, მალზე რომ დაიღალებოდა, გადმოვიდოდა ჯოხიდან, ვითომ ცხენიაო ღობეზე მიაბამდა, მიუტანდა ბალასს და თვითოონ იქნე წამოწვებოდა.

იმ დღეს, როდესაც ლუას თავიადასავალი იწევდა და კიდეც თავდება—დედამ რომ თვალი მოაშორა ლუას, ემაწვილი გამოვიდა ეზოდან, დაქვა დაღმართს და



ერთ ბუჩქის ძირას, მშვენიერ წეაროს მიადგა: კულტურული  
წეარო ლუას აქამდის არ ენახა, დაეწაფა დასალეგათ  
და უცებ წეალში თვალი მოჰკრა ღვინით სავსე მო-  
ტივტივე დოქს, რომელსაც ხოლო უელი უჩანდა.

ლუას წელის დალევა დაავაწედა, ამის ეურადლე-  
ბა ამ დოქტერი მიიქცია. ჰევირობას, რა უნდა ამ დოქს  
წეაროში? რას აკეთებს? თავისით ხომ არ ჩახტებოდა.  
მერე თოკითაც რომ არის დაბმული! უსათუოთ ვიხ-  
მეს მისი დახრჩობა მოუნდომებიაო. მას ხშირათ გაე-  
გონა, რომ დანაშაულობისათვის ახრჩობებ და გადასწე-  
ვიტა, რომ დოქის დახრჩობაც განუძრახავთ და მოინდო-  
მა მისი განთავისუფლება. დიდი სიფრთხილით ჩადგა  
წელის გუბეში, მოხსნა დოქს თოკი და ამითი დოქი  
გადაარჩინა დახრჩობას. დოქი გადაბრუნდა და რაც  
შიგ წითელი ღვინო იქო, დაიღვარა. მერე გადიგდო  
დოქი მხარზე და მოურბეინა დედას.

— დედილო, ვიღაცას წეალში დოქი ჩაუკიდია  
დასახრჩობათ. მე ვუშველე, გადაგარჩინე და აგერ მო-  
გიტანე.

დედამ ბევრი იცინა და მერე უთხრა:

— არა, შვილო, ეგ დასახრჩობათ არ ჩაუკიდია  
მაგის პატრონს — გასაციებლათ სდომებია ღვინო.  
სოფელში, როდესაც მაღიან სიცხვა, ასე იციან. ამო-  
დენა ღვინო რომ დაგიქცევია, პატრონი ხომ ცოდ-  
ვაა, რას იტევის, როდესაც ვეღარც ღვინოს და ვე-  
ღარც დოქს ნახავს.

მალე დეიდამ და გიგომაც შეიტევს ლუას ამზადებრივები  
ორგორ ლუამ დოქს დახრჩობა ააცილა და ბეჭრისორისა  
იცინეს.

ლუა დიდხანს გაბუტული იდგა და დოქს არავის  
ანებებდა. ბოლოს სეფორებ გამოართვა დოქი, აავსო  
წითელი ღვინით და ისევ იმ  
წეაროში ჩაუშვა გასაციებლათ.

ლუა მოწეუნილი მივიდა დე-  
იდასთან და უურში უთხრა:

— ნუ გამამხელ სხვებთან,  
თორებ დამცინებენ.



კოტე გრძელი.

## შემწვარი ვაშლი.



ადილათ ისხდენ. ამედეი უამბობდა მა-  
მას, რა ამოიკითხა დღეს წიგნში.

— „წიგნში ეწერა, ვითომც შუაგულ  
ღედამიწაში სამინელი სიცხვა, განა, მამა,  
ეს შესაძლებელია?“.

ამ დოოს შემოიტანეს ტკბილი სა-  
ჭმელი: ეს იუო ოთხი მშვენივრათ შემწ-  
ვარი ვაშლი. ღედამ აიღო ერთი, მამამ  
მეორე. ამედეის მძამ მარკმა, რომელიც  
წუწი იუო, სტაცა ხელი ერთს ვაშლს,  
სხვებზედ უფრო დიდს და საჩქროთ უკბინა. მაგრამ  
მაშინათვე უვირილით ვაშლი ხელიდან  
გადააგდო. ვაშლი გარედან ცივი იუო,  
შუა გული ჲი გიღევ ცხელი ჰქონდა და  
სატარა წუწის დასწევა პირი. ბევრი იცი-  
ნეს მარკის უბედურებაზე.

მამამ კი ისარგებლა ამ მაგალითით და აუხსნა  
ის, რაც ამედეის შეუძლებელი ეგონა



— ეს გამლი მიეგვანება დედა-მიწას. ოოგორი გამლი დედა-მიწა ეს გამლი გარედან გაცივებულია ხელს ასე ასლებთ. დედა-მიწაზე რო დავდივართ ჩვენ ვერა ვგრძნობთ მის სითბოს.

— შეხე, შეხე, ამ ბუზს, ოოგორ დააჯდა ჩემ გამლს. აი, ჩვენც, ადამიანები, მაგ ბუზსა ვგევართ. განა ჩვენ ვფიქრობთ, რომ შუაგული მიწა გახურებულია, ხომ არა? მაგრამ ნასწავლმა კაცებმა გამოიკვლიეს, რომ ეს სითბო წარმოსდგება იმ ცეცხლისაგან, რომელიც ანთია შუაგულ დედა-მიწაში. მართლაც ცეცხლი კი არ არის; არა, შუა გული დედა-მიწისა უფრო თბილი და გახურებულია, აი ოოგორც ეს გამლი. ოც უფრო ღრმათ ჩავეჭვებით დედა-მიწის გულში, მით უფრო და უფრო სითბოს ვგრძნობთ, ისე რომ იმულებული ვიქნებით გავშიშვლდეთ, თითქმის გავტიტვლდეთ, ოოგორც ამას შვრებიან მაღაროებში ძოშუშავენი. 1500 საუნის სიღრმეზე ჩვენ გაგვიძნელდება კიდეც სიცოცხლე.

— იცი რა მოხდება ძლიერ ღრმა სვრელები როგავაკეთოთ დედა-მიწაზე? არ იცი? შეხედე მაშ ამ გამლს. იმ ადგილიდან, სადაც მარკს კბილები დაუსვავს, ორთქლი ამოდის, და კიდევ ცხელი და აქა-ჯებული წვენი. აი იგივე მოხდებოდა, რომ შეგვეძლოს დავასოთ გრძელი და ბასრი კბილები დედა-მიწას. მადლობა დმერთს, რომ ეს შეუძლებელია, თუმცა ხდება ასეთი მოვლენა, მაგალითათ ზღვის სიახ-



ლოვეს არის მთები, რომელიც თავ წაჭიდის მკარისის  
თავებსა ჰგვანან. ამათ თავზე ხვრელი აქვთ. ამ ხვრელს  
კრატერი ჰქვიან. აი ამ კრატერიდან ეს მთა, ანუ  
ვულკანი (ცეცხლის მფრქვეველი მთა) ისვრის კვამლს  
(იხთლე სურათი) და რაღაც ცხელს სითხეს, ლავას.



— მაშ, მარკის კბილებსაც ვულკანები გაჟავთ უნია  
ამ ვაშლზე, თქვა ამედეიმ.

— მართალს ამბობ, ძვილო, უბასუსა მამამ. ევ  
რობაში სამი ვულკანია — ვეზუვი, ეტნა და გიპლა.  
ვითომწ დედა-მიწა არის შენ საინზე, მარკ, ახლა სულ  
გაცივებული იქნება, შესჭამე, რაღა! ნასაღილებს კი  
მიამბეთ, რაც აგისხენით დღეს.

შურა.

(ფრანგულიდან),

## ოთხი ჭრიანა.

მთხვერდლა სტალისა.



ემი მეგობარი ქაკი ერთხელ ფურნეში შევიდა. უნდოდა ეეიდნა ერთი პატარა პური, რომ მელიც ქუჩიდან ფანჯარაში დაინახა და ძალიან მოეწონა. მან გადასწევიტა, ეს პური ერთ თავის ნაცნობ ბავშისთვის მიეტანა. ამ ბავშს, კაი ხანი იუო, მაღა აღარ ჰქონდა, დიდი წევალებით თუ შეაჭმევდენ რასმე, ისიც მხოლოდ გართობით და შეტესუებით. ჩემი მეგობარი ქაკის აზრით ეს პატარა პური ისეთი ლამაზი იუო, რომ ავათმერთვსაც კი თვალს მოსტაცებდა და მაღას გაუხსნიდა.

სწორეთ იმ დროს, როცა ის ნაშალს ელოდა, იმავე ფურნეში ერთი ექვსი-შვიდი წლის ბავში შევიდა, დარიბულათ, მაგრამ სუფთათ ჩაცმული.

— ქალბატონო! — მიშმართა მან მეფურცეს ცოლს \*) — დედამ პურზე გამომაცხადნა.

მეფურნის ცოლმა გამოსწია ერთი დიდი უჯრა-

\*) საზღვარ გარეთ, საზოგადოთ, პურს მეფურნე კი არა, მეფურნის ცოლი ჰყდის, ფურნის წინა ოთახში, კოხტათ და ლამაზათ მოწყობილში.

თაგანი, ის, რომელშიაც ოთხ-ვიწვანქიანი პურები ელავა, ამოარჩია საუკეთესო, მთლათ დაბრაწული პური და ბავშვს მიხდა.

ჩემმა მეგობარმა ქაქმა მხოლოთ ახლა მააქცია უურადღება პატარა მეიდველის დაღონებულ და გამსდარ სახეს, რომელიც კიდევ უფრო გამსდარი ჩანდა ამ დიდ და რგვალ, ფუნთოუშა პურთან მედარებით. პური იმხელა იქო, რომ პავშვს ძლიერ ეპავა გულში ჩახურებული.

— ფული მომიტანე? — ჭკითხა მეფურნის ცოლმა ბავშვს.

ბავშვის თვალები უეცრათ დანაღვლიანდენ.

— არა, ქალბატონო! — მიუგო მან და პური კიდევ უფრო მავრათ მიიკრა გულზე. — დედამ შემოგითვალათ, ხვალ მოგაბლ თქვენთან მოსალაპარაკებლათო.

— კარგი! — დაამშვიდა ბავშვი კეთილმა ქალმა. — წაიღე შენი პური, ჩემო პატარა.

— მაღლობელი ვარ, ქალბატონო! — თქვა პატარა ბავშვა.

ჩემმა მეგობარმა ქაქმა ნაშალი მიიღო, თავისი პატარა პური ჯიბეში ჩაიდვა და ფურნიდან გამოსვლა დააპირა, როდესაც, მოულოდნელათ, ისევ იქვე, თავის უკან, დაინახა პატარა ბავშვი, გულზე მიხურებული დიდი პურით.

— რას შერები მანდ, რას უცდი? — ჭკითხა ბავშვს მეფურნის ცოლმა. იმანაც მხოლოთ ახლა შენიშნა,



ოომ ბავშვი ისევ იქ იუო: — იქნება შენი პური უაზის გადასაცემი  
მოგწონს?

— თქ! ოოგორ არა, ქალბატონო, მალიან ლა-  
მაზია.

— აბა ოატომ არ მიგაქვს, ჩემო ჰატარა? ნუ  
იგვიანებ, თუ არა დედა შენს ეგონება, ოომ ქუჩაში  
იცუღლუტე და გაგიწერება.

ბავშვი, თითქოს არც კი გაეგონოს ეს სიტუაცია,  
ადგილიდან არ დაძრულა. ეტეობოდა, ოაღაც სხვა,  
რაღაც უცნაური იზიდავდა ამ წამს მის ურადღებას.

მეფურნის ცოლი მიუახლოვდა მას და მოვერე-  
ბით ლოეაზე სელი მოუტყაპუნა.

— რას ჭყიქობ, რათ არ იჩქარი სახლში წას-  
ვლას, ჰა? — ჭყითხა მან.

— ქალბატონო! — უეცრათ წამოიძახა ჰატარა ბავ-  
შვა. — ეს ვინ ჭყალობს?

— არავინაც არ ჭყალობს! — გაკვირვებით მიუ-  
გო მეფურნის ცოლა.

— კი, ოოგორ არა! — დაქინებით გაიმეორა ჰა-  
ტარამ. — აბა უური დაუგდეთ! ორო.. ორო.. არ გეს-  
მისთ?

მეფურნის ცოლმა და ჩემმა მეგობარმა ქავშა უუ-  
რი დაუგდეს — და აქა-იქ მხოლოთ ჭრიჭინების ხმა  
გაიგონეს, სხვა ვერაფერი. ჭრიჭინები ხომ მუდმივი  
სტუმრებია იმ სახლების, სადაც ცეცხლს ხშირათ ან-  
თებენ, სადაც მალიან თბილა.

— რამე ჩიტი სომ არ არის? — ხელახლავ ფრთხოების  
თხა ჰატარა ბავშვა. — ან, იქნება, ზური გალობს არის მართვა  
და ცხვება, როგორც ვაძლი — შეწვის დროს?

— არა, ჰატარა უმეცარო! — გაიცინა მეფურნის  
ცოლმა. — ეს ერთგვარი მწერებია. ფურნეში ცეცხლი  
დაანთეს, მათ ალის დანახვა უსარიათ და სმაურობენ.

— მწერები! — გაიმეორა ჰატარა ბავშვა. — ჭრიჭი  
ნას რომ უძახიან, ის სომ არ არის?

— ჸო, სწორეთ ის არის. — მიუგო მეფურნის  
ცოლმა.

ჰატარა ბავშვის სახე უეცრათ განათღა.

— ქალბატონო! — დაიწეო მან და მთლათ გა-  
წითლდა, თითქო თავისი გაბედულება თითონვე აკ-  
ვირვებდა. — ქალბატონო, რა მადლობელი ვიქნებოდი,  
ერთ ჭრიჭინას რომ მაჩუქებდეთ!

— ერთ ჭრიჭინას! — გაიცინა მეფურნის ცოლმა.  
— რათ გინდა მერე ჭრიჭინა, ჩემო კარგო? ნეტავი კი  
შემეძლოს, რომ უკელა გაჩუქო, უკელა, რაც კი ამ  
სახლში მოიპოვება! თავი მობეზრებული გვაქვს მათ-  
გან!

— ერთი მომეცით, ქალბატონო, მხოლოდ ერთი,  
მეტს არ გეხვეწებათ! — წამოიძახა ბავშვა და გულში  
ჩასუტებულ დიდ ზურზე თავისი ორი ჰატარა, ფერ-  
მკრთალი ხელი ვედრებით შეაწოა. — ამბობენ, ჭრი-  
ჭინას სახლში ბედნიერება შეაქვსო, და... იქნება,

ჩვენც რომ გვეგდეს ერთი, დედა არაოდეს აღარ იტრიუმფილ  
რებდა.

ჩემა მეგობარმა ქავმა მეფურნის ცოლს შეხედა.  
მეფურნის ცოლი, ახალგაზდა, ლოეა-წითელი ქალი,  
ამ დროს ფართუკით ოვალებს იწმენდდა.

ჩემ მეგობარ ქავს რომ ფართუკი ჰქონდა, ისიც  
ასე მოიქცეოდა.

— მერე რა აქვს სატირელი დედა-შენს? — ჰქითხა  
ბავშვს ჩემმა მეგობარმა ქავმა. მან ვეღარ მოითმინა,  
რომ თითონაც არ გამოლაპარაკებოდა ჸატარას.

— ანგარიშები, ბატონო! — აუხსნა ჸატარამ. — მამა  
ჩემი მოკვდა. დედა ბევრს მუშაობს, მაგრამ მაინც ვერ  
ახერხებს ეველა ანგარიშების გასწორებას.

ჩემმა მეგობარმა ქავმა ჸატარა ბავში და, მასთან  
ერთათ, მისი დიდი ჸურიც — ხელში აიგანა. მგონია  
ორივე დაჰქოცნა.

მეფურნის ცოლი კი, ამ დროს, ფურნები გავი  
და. მას ვერ გაეძებნა თითონ მოეკიდა ხელი ჭრიჭი-  
ნებისთვის, ამიტომ თავის ქმარს დააჭირნა თხი,  
ჩასვა ჸატარა კოლოფები, კოლოფეს სასურავი დაუხვ-  
რიტა, რომ ჭრიჭინები შეი გამომსრჩეალიუგენ  
და ბავშს მისცა.

ბავში აღტაცებული გაუდგა თავის გზას.

როცა ბავში წავიდა, ჩემმა მეგობარმა ქავმა და  
მეფურნის ცოლმა ერთმანეთს შეჰქედეს.



— საცოდავი ჰატარა! — ერთხმათ წამოიძახე ქუთხით გებ.

შერე მეფურნის ცოლმა გადაშალა თავისი ანგარიშების წიგნი, მონახა ის ფურცელი, რომელზედაც ჰატარა ბავშვის დედის გვარი ეწერა, ჩამოუსვა მსხვილი საზი ამ ფურცელზე მოთავსებულ გრძელ ანგარიშს და ქვეით მოაწერა, „გადახდილია“ — ღ.

ამ დროს განმავლობაში ჩემმა მეგობარმა უკმა მთელი ის ფული, რაც კი ჯიბები მოეპოვებოდა, (ბედზე, იმ სადამოს ფული მის ჯიბები ბლომათ იუო) ქალალდმი გახვია და მეფურნის ცოლს სთხოვა, ეს ფული თქვენ გასწორებულ ანგარიშან ერთათ ჭრისინებიან ბავშვის დედას გაუგზავნეთო.

მართლაც ასე ჰქნეს, ფულს და გასწორებულ ანგარიშს წერილიც დაუმატეს, „ნეტავი თქვენ, ასეთი კარგი და კეთილი შეილა რომ გუავსთ“ — ღ, და უკულა ეს მეფურნის ბიჭის გადასცეს, თან დაატანეს, რაც შეიძლება დაიჩქარე, სულ სირბილით წადიო.

მეფურნის ბიჭის გრძელი ფეხები ჰქონდა. ის ისარივით გავარდა.

ჰატარა ბავშვს, თავისი დიდი ჟურით, ოთხი ჭრის ჭინით და ერთი ნამცეცა ფეხებით რასაკვირველია ისე ჩქარა სიარული არ შეეძლო, როგორც მეფურნის ბიჭის. ასე რომ, სახლში რომ მივიდა, მოულოდნეულათ დაინახა ის, რაც დიდი, დიდი სანი იუო, აღარ ენახა. დაინახა, რომ დედა მისი თავის საკერავს აღარ

ჩაჭკირკიტებდა და ტუჩებზე მხიარული, კმაყოფილი უჭროდა.

ბავშვა მაშინვე სიხარულით გადაწევიტა, რომ ეს სახწაული მისი ოთხი ბატარა, ნაცრის ფერი მწერის წეალობით იუო მომხდარი.

მე მკონია, რომ არც სცდებოდა, როცა ამას ჭვიქრობდა. მართლაც და, აბა რამ შეიტანა დედა მისის ცხოვრებაში ეს ბედნიერება, თუ არ მისმა კეთილმა გულმა—და მისმა ოთხმა ჭრისანამ?

ელ. წერეთლისა.

(ფრანგულიდან)





## იაპონური ზღაპარი

(თარგმანი).



დესდაც იაპონიას —  
ასე იწყება ზღაპარი —  
სცხოვრობდა ერთი ქვის მთლელი,  
მეტად ღარიბი, საწული.

—

თუმც დღე-ღამ არ ისვენებდა  
უმაწვილი მუშის მკლავია,  
მაგრამ ტანჯვას და წევალებას  
ვერ დაახტია თავია...

—  
ერთხელ მოქანცულს მთელი დღის  
აუტანელი შრომითა  
ვერ მოუთმინა გულმა და  
ბედზე იჩივლა წერომითა:

„რა სიცოცხლეა ეს ჩემი  
ეოფა მმიმე და კრულიო...  
ვშრომობ და ვერ კი ვიჩოვე  
კმაულფილება სრულიო...“

—  
აი რომ გავხდე მდიდარი,  
დიდ-მალი ფულის მქონეო, —  
ვისიამოვნებ იმდენს ხანს,  
სანამდის შემწევს ლონეო...“

—  
ვშაბ და ვსვამ, რამდენიც მინდა  
რბილ ტახტზე ვიწევებ წოლასო...  
ან კი დამიშლის ვინმე თუ  
დილით დამემდე გორვასო?:!

—  
შემთხვევით ცაში მფრინავსა  
ანგელოზს ესმა ჩივილი



ჩვენი ქვის მთლელის, ცოტა  
იმისი გულის ტკივილი.

და უთხრა: „პარგი... იუს ის,  
რაც გურს და გინდა გულითა“.  
და მეისვე გახდა ქვის მთლელი,  
მდიდარი, სავსე ფულითა.

არას აკეთებს... არ შრომობს...  
წევს და გორბობს ლოგინში...  
აღარ აქვს დარდი, არც ფიქრი  
მას სამუშაოს ლოდინში.

ერთხელ შემთხვევით მის ახლო  
ხელმწიფებ გამოიარა...  
თავს ადგა ოქროს ქოლგა მას,  
გარს კი ეზვია ამალა.

— „სიძიდიდრე მაინც და მაინც  
არ არის სახარბიელი...  
ხელმწიფებ უოფნა — სულ სხვაა“  
ჩიოდა ისევ ქის მთლელი.

— კარგიო, ანგელოზმა სთქვა...  
დე ახდეს, რაცა გწადია“...  
და მართლაც ხედავს ქვის-მთლელი  
სიზმარს კი არა, ცხადია.

რომ მეფედ იქცა, გარშემო  
ამალა თავს დასტრიალებს...  
თავს კი ადგია მას ქოლგა  
ოქროვერცხლის და ფრიალებს...

— მაგრამ ვერ შეველის მას ქოლგა...  
ცხელა და ეწვის თვალები...  
მზის ცხარე სხივით ნატკენი  
საძინლად განაწვალები.

— მეფე რა არის? — შეჭევირა  
ქვის მთლელმა: მზე მას სჯობია!  
მზედ ეოვნა — აი სიცოცხლე.  
სხვა უველა დასაგმობია...

— იქვე მზედ, ანგელოზმა სთქვა  
და აი იგი მზე არი...  
ციდან ტეს, მინდოოს აფრქვია  
სითბო, სინათლე ნეტარი...

— მაგრამ უცბად მნათობის  
და მიწის შუა, ჭით გველი,  
უზარმაზარი და შავი,  
გაწვა ნისლი და ლრუბელი.

— და მოსწერა მიწას სხივი მზის  
ბრწეინგალე ოქროს სწორისა.

და ქვისა მთლელმაც გამოსთქვა  
გრძნობა თვის გულის წერომისა.



— მზეობა, ოოკორცა ვხედავ,  
უფილა სულ ცრუ ქადილი.  
ნისლათ და ღრუბლათ გახდომა  
აი დღეს ჩემი წადილი.

— გადიქეც ღრუბლათ — მოესძა  
ანგელოზისგან ჩვენ ქვის მთლელს  
და მეისგე ნისლათ ქცეული  
მოედო იგი ცის სივრცეს.

მიწას გვალვისგან გადამწვარის  
და უწელოთ გამხმარ ჟანებზა  
ის აჭკურებდა წვიმისას  
გამაცოცხლებელ ნამებსა.

უხშირა წვიმა დარები...  
საშიშ ნიაღვრათ ქცეული  
მოედო მთელსა მიდამოს,  
გით მტერი შემოსეული.

აზღავნა ტბა და მდინარე,  
წალექა მთა და ბარია,  
რასაც კი შესვდა გზაზედა  
გადააფარა წებლია.

მხოლოდ ერთ ადგილს, იქ სადაც  
აქაფებული ის წეალი  
ვერა სწერებოდა, მოსჩანდა  
წელის ზევით კლდისა ნაპრალი.

— რად მინდა ნისლათ ეოფნა, როს  
დამცინის კლდისა წეერიო,  
მაღალ კლდეთ მინდა გაღვიძეს“  
ჩიგის კვლავ ქვისა მთლელიო.

— კარგიო, თქვა ანგელოზმა,  
„იუპ კლდეთ“ და ვით გრძნეული  
წელიდან გამოჩნდა ქვის მთლელი  
კლდის წეერად გადაქცეული.

ფიქრობდა: „უძლეველი ვარ,  
არგისგან მელის ზიანი“  
მაგრამ შეხედა, იმასთან  
მივიდა ადამიანი.

ჩაქუჩით, რკინით; შეცოცდა  
კლდის წეერზე იგი წენარათა  
და ნელა-ნელა კლდეს ქვებსა  
ამტკრევდა იგი მალათა.

— როგორ? — შეჭევირა ქვის მთლელმა:  
ადამიანის სელები

ନୁହିବୁ ମାଗାରୀ ଉତ୍ତରା,  
ବିଦର୍ଜ କାଳି କଲାଦିଲେ କ୍ଷେତ୍ରକୁ?..

ମାତ୍ର ଧୀର କାହିଁ କାହିଁ,  
କାହାର ବିନାତ କାହାରଙ୍କ: କ୍ଷେତ୍ରର ମତଲ୍ଲେଖି.  
କଥାରଙ୍କ, କୁହାରଙ୍କ କଥାରଙ୍କ  
କଥା, କଥାର କଥାରଙ୍କ.

କଥାର ମରନମରନ, କଥାର କଥାରଙ୍କ  
କଥାରଙ୍କ, କଥାରଙ୍କ, କଥାରଙ୍କ,  
କଥାର କଥାର କଥାରଙ୍କ  
କଥା କଥାର କଥାରଙ୍କ.

— କଥାରଙ୍କ, କଥାରଙ୍କ କଥାରଙ୍କ, କଥାରଙ୍କ  
କଥାର କଥାରଙ୍କ କଥାରଙ୍କ,  
କଥାରଙ୍କ କଥାରଙ୍କ କଥାରଙ୍କ  
କଥାରଙ୍କ କଥାରଙ୍କ କଥାରଙ୍କ.

ଶମିତ.



# როგორ სწავლობენ ცურვას

წელის ფრინველები.



ელის ფრინველი ცურვას უფრო სხვა ფრივ ასწავლის თავის შეილებს:  
ის მართავს ცურვის სკოლას. აი, გამოიუვანა იხვმა თავისი შეილები ტბაზე. პატარა იხვები აღებენ პირებს და სარბათ თხოულობენ საჭმელს, ჯერ კიდევ თვითონ არ შეუძლიანთ საზრდო მოიპოვონ.

მათი ეიეინი დედას გულს უკლავს. რამოდენჯერ მე წეალძი ჩაიუურუუმალა დედა და ჭია ამოათოია, რომელიც შეილებს დაუნაწილა.

იხვებს წელისა არ ეშინოდათ, თუმცა პატარები კი იუვენ, მაგრამ წეალძი ჩაუურუუმალებას ვერა ბედავდენ. დედა-იხვმა ასლა ესეც უნდა ასწავლოს. მან უნდა ისარგებლოს მათი სიმშილით. დედა ჩაუგდებს წეალძი ჭიას ან ბუზს. პატარა იხვები ცდილობენ დაიჭირონ ჭია, მაგრამ უოველთვის ვერ ახერხებენ ამას. სანდისხან ჭია ჩასძირავს. იხვები გაშმაგებულები სიმშილით უფრო და უფრო ჩაიუურუუმალდებიან.



წეალში მის ამოსათოევათ, დედა ალექსიანი ქუჩინით  
ამხნევებდა მათ და ამ ზომით შვილები მიაჩვია წეა-  
ლში უძიშრათ უურუუმალს.

შატარა იხვები სულაც მშიშარები არ არიან. დე-  
დას ძლიერ აღვილათ ჩაჭეავს შვილები წეალში, აი  
როგორ. მათ ნაპირზედ დასტოვებს და თვითონ გას-  
ცურავს ძორს. შვილებს ეშინათ და ვერ ბედავენ გა-  
ჟოლას. მართლაც საძიშა პირველათ შეცურვა წეალ-



ფრინველი უურუუმელა.

შ. შერის თვალით უცქერიან შვილები დედას. უკანასკნელი კი მათ უურადღებას არ აქცევს და უფრო რო და უფრო შორდება ნაპირს. ისვიდედა მხოლოდ აჩვენებს, რომ შვილები არ უნდა და მათი ბედ-იღბალი მას არ ეხება. გულით კი სურს, რომ შვილები მიცურდენ მასთან. შვილებიც უიუინით იწევიან წელისაკენ.

არის ერთგვარი ფრინველი, სახელათ უურუუმელას. ეძასიან ამ ფრინველმა კარგათ იცის წეალში ჩაურეუშალება, ის მართლადაც საუცხოვოთ ჩამირავს და მოცურავს წეალში. აი როგორ ასწავლის ეს ფრინველი ცურვას თავის ბარტებს. ბარტები ნაპირზედ დარჩენ, მშობლები კი წეალში ჩავიდენ. ერთმა თევზი დაიჭირა და დაანახვა შვილებს, და მერმეთ გასცურა შორს ნაპირდან. სრულებით დაიკარგა ბარტების შიში — იგინი გაჲსევინ მშობელს, რომ წაერთმიათ თევზი. ის კი უსახლოებოდა მათ ხელიდან და უფრო და უფრო შორდებოდა ნაპირს, ახალგაზდა მცურავები დაიღალენ. ახლა კია ღრო დააჯილდოვოს მამამ კარგი მცურავი, ის უთავაზებს თევზს იმას ვინც უფრო შორს წავა. ასე ასწავლის ეს ფრინველი თავის შვილებს, სანამ დის არ მიაჩვევს კარგათ ცურვას.

გაგებული გექნებათ, რომ არის ფრინველი სუსაური (გაგა). ეს ფრინველი გვაძლევს ჩვენ საუკათხესო ღინდღლს. მისი ბარტე ძლიერ მშიშარაა და ეს გარემოება უმნელებს დედას საქმეს. გერც თევზით,

ვერც ჭიით ვერ ჩაიგვანს შვილს წეალში, სულ რო  
ეძახოს დედამ—ბარტექი მაინც არ ჩავლენ წეალში.  
მაგრამ სუსტური ჭიკიანი ფრინველია, მან იცის,  
რა უნდა უკოს ჰატარა მშიშარებს. სუსტური მისცურავს



ნაპირთან, დაუძახებს შვილებს, დაისვამს ზურგზედ მათ  
და ამ რიგათ დატვირთული გაემგზავრება შუაგულ  
წეალში. ბარტექი კი თითქოს ჰატარა ნავში სხედან.  
მაგრამ, ო სამინელებავ, როდესაც სულ შორს წავიდენ

ნაპირიდან უბედურება დატრიალდა: დედამ ჩასძირა, შვილები გადაცვივდენ წეალძი, დაიწეუს ფართხალი, მაგრამ ცურვა რომ არ კოფილა მნელი! ბარტებმა ცურვა დაიწეუს. ამ დროს ცოტა მოძორებით გამოაჩინდა დედაც. რა ბედნიერებაა, დედა ცოცხალია, ის არ დაღუპულა წელის ზეირთებში. შვილები სისარულით მიცურავენ მასთან.

ახალგაზდა სუსტერები მალე ეჩვევიან წეალს. რა  
მოდენიმე გაკვეთილის შემდეგ თამამათ დასცურავენ,  
რაგინდ აღელვებული იქს წეალი. მაგრამ მარტო ცუ-  
რვით არ თავდება მათი სწავლა. წეალში ჩაურუუმა-  
ლებაც უნდა ისწავლონ. წელის ფრინველებში უველავე  
დღიდხანს სწავლობს ცურვას ერთგვარი ფრინველი სა-  
სელად „ყომგა“ მშიერ ბარტეს დედა აჩვენებს თევზს;  
ბარტეი მიუახლოვდება მას, აი ამ დროს დედა ჩასძირავს  
წეალში ამ თევზით ნისკარტში. პატარას ხომ შია,  
მას ეძინია, ვაი თუ საჭმელი დაიკარგოს წეალში  
და ექარება მალე ჩაურუუმალდეს. წელის ქვეშ მმო-  
ბელი ამლევს მას თევზს, სანამდის კარგათ არ შეის-  
წავლის წეალში ჩაძირვას, მანამდის ასე ასწავლიან  
მმობლები თავის ბარტეებს.


۱۳۴

(განვითარება)


## სახუმარო გასართობი.

ჩვენი ბუხრის მწმენდელები არ იშლიან თავისასა.

სიმარჯვითა არ ჩამორჩებიან არც ერთ ცირკის მოთამაშეებსა.



შეხეთ ამ გამურულებს, რას ჩადიან, რას შერებიან.  
არ დაცხრებიან, სანამ კისერს არ მოიგრეხენ.



### გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

(წარმოდგენილი ან. კაპანაძისავან)

აბანოს თეთრი ბატები აბანოს ებანებიან,  
იმათი ხელ-პირის ნაბანი ბატონსაც ეკადრებიან.

თავ დაუდგა მეითანი, მოუჯდება მირთახანი,  
ვინც ამას არ გამოიცნობს გამოუვა დიდი ხანი.

**ა ხ ს ნ ა:** გამოცანა—ბულბული. შარადა—ქვეყანა.

შარადა ახსნა ალაგირის ქართული სკოლის მოწაფემ ისი-  
დორე მეტრეველმა.



## განთიადი ახალი ცხოვრებისა.

(სურათები ამერიკაში მომხდარ ომებიდან, რომელიც გამოიწვია ზანგების  
მონობიდან განთავისუფლებამ).

თარგმანი

I


### ადამიანზედ ნადირობა.



— სსი მაგას, სსი!.. დაიჭი, დაი-  
ჭი! ბულ! ნიგერ! კარგათ მოსძებნეთ! და-  
იჭით! ვეღარსად წაგვივა... დაიჭით! ბა-  
ტონებო, გარწმუნებო, რომ ჩემი მეძებ-  
რები მალე დაეწევიან. ის არამზადა პირ-  
ლაპირ არ მირბოდა, აქეთ-იქით უხვევ-  
და, რომ მათვის გზა-კვალი აერია. მაგ-  
რამ არა უშავს-რა! იმ არამზადას მალე  
ნახავთ, ჩემი მეძებრები როგორ დაფ-  
ლეთენ...

— შერარდ, თუ მართლა ასეა, მა-  
შინ მე ათ დოლლარს კიდევ მოგიმატებო!

ახალგაზრდა კაცს ფართო ჩალის შლიაპით, რომელ-  
საც შერარდი უწოდეს ხელში, ეჭირა გრძელი შოლტი, წელ-  
ზე ორი სპილოს ძვლის ტარიანი რევოლვერი ჩამოეკიდნა და  
ამაყად მიაჭენეადა წითელს ბედაურს.



— ჩემმა მეძებრებმა მშვენივრათ იციან თავიანთი საქმე, ბატონი გარეტ, — უთხრა შერარდმა. ეს არა ჰგავდა რომელიმე ზანგების ბატონს, ან არა და მდიღარს სამხრეთ-ამერიკელ პლანტატონს\*) ის უფრო წაგავდა იანქს, ჩრდილოეთის შტატების მცხოვრებს.

— ძალლებმა, ვვონებ კვალი დაჲკარგეს, — უკმაყოფილოდ შენიშნა განიერ შლიაბიანმა ბატონმა.

— ჩუმათ, ჩუმათ!.. ძალლებთან ძლიერ ახლოს არ მიხვდეთ, თორემ სულ თავ გზა აერევათ, — წაიჩურჩულა შერარდმა და თან ხელით ანიშნა დანარჩენებს, რომელნიც უკან მოსდევდენ, ნელა ევლოთ, — კიდევ ერთს წუთს მოთმინებ , ბატონებო, და ისიც ხელში ჩაგვივარდება.

სხვა დანარჩენი ცხენოსნები მონაღირებს არა ჰგავდენ, ძალლები რაღაც უცნაური ჯიშის ცხოველები იყვენ: ტანის სისრულით და მოყვანილობით ისინი მეძებრებსა ჰგავდენ, ბეჭვი გრძელი და სქელი ჰქონდათ. ცხვირი ისე ტლანქათ დაშვებოდათ, როგორც ქოფაკებს. ერთს მათგანს ნიგგერი \*\*) ერქვა. მეორეს — ბულ. ეს ცხოველები ისე საზარლათ აბრიალებდენ თვალებს და მგლის ეშვების მზგავს კბილებს ისე ახრჭიალებდენ, თითქოს ადამიანს გაფლეთას უპირობენო.

ძალლები დაძრწოდენ აქა-იქ. უეცრივ ერთმა მათგანმა, ბულმა, გაცოფებით წამოიყმულა და ცხვირი მიწაში წაჟყო. ამის დანახვაზედ ბრბოსთან ერთად მომავალმა მდიღარმა პლანტატონმა დაუძახა ძალლების პატრონს — შერარდს!

— ეი, ბატონი შერარდ, იმ ავაზაქს, შეხე, ყურძნის ტოტი მოუტეხნია. ძალლები დააბრუნე, უეჰველია, აქ ახლო-მახლო დაიმალებოდა.

— შეიძლება აგრეც იყოს, — უპასუხა შერარდმა და ძალლებს დაუძახა: სსი, მაგას, სსი!.. დაიჭი, დაიჭი ჩემო ერთ-

\*) მდიღარი მემამულეა, რომელთაც მცენარეები მოჰყავთ.

\*\*) სიტყვა „ნიგგერი“ ინგლისურია და ნიშნავს ლანდღვითს სიტყვას, რომლითაც მიმართავდენ ხოლმე მონაზანგებს ამერიკაში.

გულო მექებარო! წინ გასწი!.. ჩემო ბატონო, გარშმუნებთ,  
რომ ის ეხლა ვეღარსად გაგვეჩევა!

უბედურის ასეთი დევნა ხდებოდა გეორგიას ტყეებში,  
ერთ-ერთ სამხრეთ ამერიკის შტატებში, სადაც ამ დროს ომი  
იყო გახურებული ჩრდილოელებთან, რომელნიც გამოვიდენ  
უბედურ ზანგების დასაცველათ. ეს ამბავი მოხდა 1863 წ. ქრის-  
ტიშობისოვეში. ეს ადგილი წარმოადგენს ვაკე დაღმართს,  
რომელიც ეშვება მღინარის პირზე; ყველგან, სადაც კი თვა-  
ლი გასწვდებოდა, კრიალი გაჰქინდა მხიარულს რუხის ფერ  
ხის ღერო-ტოტებს. ტოტებს ესხათ კინკრიუის მზგავსი ხილი,  
ბრჭყვიალა მოწითლო ფერის მარცვლებით. ტოტებსა და ღე-  
როებს შუა ვეება კაცის წვერის მზგავსი ხავსი იყო მოკიდე-  
ბული. ძირიდან კი მთელს ხეს საყვარლათ შემოხვეოდენ თა-  
ვიდან ბოლომდინ ათასნაირი მცენარეულობა, რომელნიც წვე-  
როვინებზე პაწია ტოტებით ერთი ხიდან მეორეზე გადადიო-  
დენ და ისე პატურავდენ დაბლა მიწას, რომ მზის სხივებს მათ-  
ში ჩატანება არ შეეძლო. მთელს ტყეში სიჩუმე ჰსუფევდა,  
მხოლოთ ათასში ერთხელ გაისმოდა ხის გამხმარ პაწია ტო-  
ტების ლაწალუწი, როდესაც დაუდევარი ციყუნია დახტოდა  
მათზე, ან და როცა ვეება ფრინველი ბოლო-ბეჭედა საზარ-  
ლად წამოიკივლებდა ხოლმე, მაშინ თუ ირყეოდა ტყეში გა-  
მეფებული სიჩუმე.

უეცრავ ამ დაბურულ ტყეში გაისმა რაღაც ყრუ ფეხის  
ხმა და გამოჩნდა კაცი, შიშისაგან შეძრწუნებული, დამანჭუ-  
ლის სახით. ეს იყო ის, რომელსაც დასპერათ დასდევდენ და  
რომელიც იმაში იყო დამნაშავე, რომ თეთრი კანი კი არა,  
შავი ჰქონდა. მაგრამ უნდა შეენიშნოთ, რომ ის ნამდვი-  
ლი ზანგი არ იყო, არამედ მულატი \*), მას ცოტაოდნათ  
ლამაზი, ჭკვიანური სახე ჰქონდა; რომელიც შიშისაგან ასე  
საზარლათ დამანჭოდა, გაშავებოდა.

ეს იქნებოდა ორმოცი წლისა, ლონიერი და ძარღვი-  
ანი კაცი. უბედურს, მეტი სირბილისგან ქანცი გასწყვეტო-

\* ) მულატი — კაცი ევროპიელისგან და ზანგისგან ნაშობი.



და და ეხლა ერთ ხის ლერს მიყრდნობოდა შესასვენებლათ, მაგრამ ღონე გამოლეულს უეცრივ მუხლთ მოეკვეთა და მოკრილ კუნძსავით ძირს ჩახედინი გასძვრა. გახურებული გული მძლავრათ უცემდა და ყელიდან რაღაც სტვენის მზგავსი ხმა ამოსდიოდა. თითქმის საათის მეოთხედმა განვლო, სანამ ის სულს მოითქვამდა. მალე სუნთქვა თავის ღონეზე დაუბრუნდა, წამოიწია მაღლა და გამხმარ ტუჩებით დაეწაფა ხის ლერში ჩაგუბებულს წვიმის ცვრებს. მაგრამ დიღხანს არ დაუსვენია მას. ის ფოთილობდა და ყოველივე ხმაურობაზე ყალყა იდგა გასაჭცევათ. უეცრივ მას შეესმა ხმაურობა და შიშით გააკანკალა. უბედურმა, აქ კი ვეღარ მოითმინა, ერთი მწარეთ ამოიკვნესა და სახეზე ხელები მიიფარა.

— ო, ღმერთო! — სასოწარკვეთილებით წაიჩურჩულა მან. ნაცნობი ხმაურობა გულსა და სისხლს უყინავდა. დახანება აღარ შეიძლებოდა. ისიც წამოხტა ზეზე და უკანასკნელი ძალანით გაჰქიცესა ისევ...

ტყე კვლავ მიწყნარდა. ჭრიჭინამ იწყო ხტუნაობა. ციყვმა დაუწყო კაკალს მტვრევა, რომლის ნაჭუჭები ხრიალით ეცემოდენ ძირს. ფეხის ხმა უფრო გაძლიერდა... ავერ გარკვევით ისმის: „სსი მაგას, სსი!“ ყეფის ხმა ახლოვდება. ეტყობა, მონადირეები მალე გამოჩნდებიან.

ბუჩქნარის ტოტებში, რომელნიც მთელ თავისუფალ ადგილს ჰფარავდენ, ხის ძირებში ღაწა-ლუწი ასტყდა. ტყის ნადირებმა ყურები ცქვიტეს და არა ჩვეულებრივ ხმაურობას ყური დაუგდეს. ციყვმაც კაკალს თავი დაანება; ბოლო-ბეჭედამ ერთი წამოიკივლა და ტყის სილრმეში ჩაიკარგა. ტყიდან გამოცვინდენ ძალლები და იმ ადგილას, საღაც ორიოდ წუთის წინად ის იყო უბედური ისვენებდა, გაცოფებულებმა ცხვირები წაპყვეს.

მათთან ერთად ცხენოსნებიც ხელად გამოჩნდენ. ერთმა მათგანმა, რა დაინახა ძალლების ასეთი გაცოფება, წამოიძახა:

— ეს რას ნიშნავს? ხეზე ხო არ აცოცდა ის არამზადა! მეორემ თავი გააქნია.

— არა, ის აქ დაისვენებდა, უეჭველია, მაგრამ ჩვენი მო-

## ალია განთიადის ცხოვრებისა

ახლოვება რო უგვრძნია, გაუქუსლნია. მორჩა! ის უკვე დალ-ლილა! ეჭვი აღარ არი ველარ დაემალება ჩვენ ძალებს... სსი მაგას, სსი! ნიგერ! ბულ!

ძალებმა შემოუარეს ხეს და მალე კვალს მიაგნეს. ახა-ლი კვალი სისხლის წყურვილს უმატებდა ორივე ძალებს და ეს იყო მიზეზი, რომ ასე საზარელი ყეფით აწყდებოდენ აქეთ-იქით.

ცხენოსნებს კი ერთი კიუინა და ვაი ვაგლახი გაჭქონ-დათ. ძებნა დიდ ხანს არ გაგრძელებულა. აღამიანი — ნადირი არ არის! მან ველარ შესძლო შორს გაქცევა; იგი ტყუილადა ცდილობდა თავის აცდენას და მდევრებისათვის გზა-კვალის არევას. ძალები სწრაფად პოულობდენ კვალს და გაცოფებით მიიწევდენ წინ.

— თუ ძალები დასწვდენ, სულ ნაფლეთებათ აქცევენ, — შენიშნა ახალგაზდა გარპერმა, რომელიც ხანში შესულ პლანტატორთან ერთად, ბატონ ტაილგრავთან და შერარდთან ცხენს მოაჭენებდა.

— პირობას ვდებ: ცოცხალს, ანუ მკვდარს ჩავიგდებ! თქვა შერარდმა და ცბიერათ გაიღიმა. ის აღრე ვაჭარი იყო, მაგრამ ერთხელ საქმე წააგო ზანგების გაყიდვაში და ეხლა ადა-მიანებზე ნადირობას მიჰყო ხელი. ამ საქმეში მას იმ გარე-მოებამაც შეუწყო ხელი, რომ იმ ღრუს პლანტატორებს ძალიან ცუდი დღე დაადგათ: მათ მონებსაც მიუვიდათ თავისუფლების სუნი, დაიწყეს აჯანყება და თავიანთ ბატონების სახლ-კარი-ლან გაქცევა. ამიტომ იყო, რომ ისინი ისე სასტიკათ სდევ-ნიდენ გაქცეულებს და ყოველ ღონესა ხმარობდენ, რომ სა-მუდამოდ ჩაექროთ ის ცეცხლი, რომელიც თავისუფლების სურვილს აღენთო მათში.

— მკვდარს, ანუ ცოცხალს! — სიცილით გაიმეორა გარ-პერმა, — ჩემთვის სულ ერთია, თავს არ შევიწყენ მაგ შავ-ტუ-რა ავაზაკის გულისათვის.

— ზანგი, რომელზედაც თქვენა ნადირობთ, თავისუფა-ლია, — უთხრა მათ ერთმა ხანში შესულმა ცხენოსანმა, — ამი-



ტომ მისი სიკვდილით არაფერი არ გამოვა. მაგრამ რას ნო-  
შნავს, ძალებმა, ვვონებ, კვალი დაჭკარვეს!

— სსი! დაიჭით!.. აკანკალებულის ხმით წამოიძახა შე-  
რარდმა, რომელსაც ის აზრი, ვაი თუ ძალებმა მართლა  
კვალი დაჭკარვეს და ფულები დამეკარვოს.— ბულ, ნიგერ!  
სსი, მაგას, სსი!..

შერარდმა ხელით ანიშნა დანარჩენებს, ძალებს არ მია-  
ხლოვებოდენ და მით ხელი არ შეეშალათ ძებნაში. ძალები  
დიდხანს არ გაჩერებულან ყოყვანში. პირველათ ნიგერმა იყ-  
მუვლა საზარელის ხმით, ჰაერში ასწია დინგი, აიყნოსა და  
ხის ძირს დაუწყო ფქხილებით თხრა და კბილებით ღრხა.

— აგერ ის, აგერა, ხეზე ასულა მაღლა! ვაშა, ვაშა!..

ცხენოსნები შემოერტყენ ხეს და ერთის კიუინით არე  
მარე დააყრუეს. მაღალს თუთის ხის წვერზე მოკრუნჩეული  
იჯდა საცოდავათ უბედური მულატი, რომელიც ყურძნის  
ტოტების შემწეობით ძლივს აცოცებულიყო მაღლა, რომ  
გაცოფებული ძალებისათვის დაეხწია თავი და დაფლეთას გა-  
დარჩენილიყო კარგად იცოდა, რომ თეთრები მას არა-  
ფერს არ აპატიებდენ და ხსნის იმედი ტყვილი იქნებოდა.  
ამის მიზეზი ის იყო, რომ ჩრდილოებები გამოესარჩლენ  
ზანგებს და მოითხოვეს მათი განთავისუფლება და თავისუ-  
ფალ მოქალაქეებათ გამოცხადება. რასაკვირველია, თეთრები  
ამაზე არ დათანხმდენ და ბრძოლა გამოუცხადეს ჩრდილო-  
ებებს, მაგრამ რაკი მათ ვერა დააკლეს-რა თავიანთ მო-  
ნებზე იწყეს გალაშქრება და ვაი მას, ვინც გაპტედავდა მუ-  
შაობაზე უარს, ან გაქცევას, მას არ დაინდობდენ, როგორც  
ოთხფეხ ძალასა. ეს იცოდა უბედურმა მულატმა, იცოდა,  
რომ თეთრები ყველას ჯავრს მასზე ამოიყრიდენ და საშინელ  
სიკვდილს ათრთოლებული სხეულით დაუყოვნებლივ მოელოდა.  
ზოგჯერ ისეთი წამების წუთები მოელოდა, რომ ძარა იყო,  
ხის წვეროდან ჩამოვარდნილიყო, ძალებს დაეფლითათ და  
წუთიერი ტანჯვით ბოლო მოელო სამუდამო ტანჯვა-წამე-  
ბისათვის. მას რაღაც საშინელებათ და აუტანელათ მიაჩნდა  
თეთრების ხელში ცოცხლათ ჩავარდნა, რომელნიც შეუბრა-

ლებლათ წათრევდენ სახრჩობელაზე. მაგრამ ამ ხეზე ყოფნით ის იგებდა რმდენიმე წუთის სიცოც ხლეს; და ვინ იქნება, განა, ისეთი განწირული, რომელიც ძვირათ არ აფასებდეს სიცოცხლეს თვით უკიდურესს ტანჯვის დროსაც?

— ა, ყოჩალ! — შესძახა ტაილგრავმა და რევოლუციონი დაუმიზნა, — ეხლავ ჩამოეთრიე, თორემ ჩაგაძალებ! სულ ერთია, შენ ბედს ვერ წაუხვალ, წინააღმდეგობა ამათა!..

— ო, მასსა, მასსა!\*) ჩამოსძახა ვედრებით უბედურმა, — რა დავაშვე, რაზედ გამომიყენეთ ძალები? მე არა ვარ კაცის მკვლელი, არა ვარ ქურდი .. მაშ რითი შეგცოდეთ, რითი?

— კითხვასაც ბედავს ეგ გაიძვერა? წამოიძახა ახალგაზრდა გარპერმა და იმანაც რეკოლვერი დაუმიზნა. — მაშ ვინ უქადაგებდა ბელვილში მონებს აჯანყებაზე? ვინ უამბო მათ, რომ ყველაფერი შეუძლიანთ, თვით ბატონების დახოცვა და მათი განადგურებაცა, ჰა?..

— არა, არა მასსა? ეს ტყუილია! — შეძრწუნებულმა ჩამოსძახა მაღლიდან, — გუშინ კვირა იყო, მე მათ სიკეთეს ვუქადაგებდი; ვეუბნებოდი, რომ ჩრდილოეთში თეთრმა ხალხმა თავისუფლება გამოაცხადეს მეთქი!

— ვხედავ, შე ავაზაკო, შენვე გამოტყდი! შესძახა ტაილგრავმა.

— მე ვეუბნებოდი, მასსა, რომ თქვენს ბატონებს ყური უგდეთ, იმუშავეთ, სანამ კანონი არ გამოიცვლება მეთქი, იმაზე კი არასოდეს არ მიფიქრნია, რომ ვინმე ამეჯანყებია.

— ტყუი, შე თვალთმაქცო! ესეც არ იყოს, მე იმდენი არა მცალიან, რომ ყველა ოხერის საქმე გავარჩიო. შენ აჯანყებდი და ეს საქმარისია! ჩვენ არ გვესაქმება ჩრდილოელნი რას აცხადებენ და რას არა; ყველა ის, ვინც უარს იტყვის მუშაობაზე, დაისჯება: მას ჩამოახრჩობენ პირველსავე ხეზე და მეტი არაფერი! და ყველა იმისთანა ავაზაკებს, როგორც შენა ხარ ასეთი სიკვდილი ელის.

\*) მასსას ზანგები თავიანთ ბატონებს ეძახდენ.



— კმარა! შესძახა ტაილგრავმა, ჩამოეთრიე ხილან!

მაგრამ მულატი ვერა ჰებდომადი ძირს ჩამოსკვლას. გაცო-  
ფებული ძალლები მიწას ფრჩხილებით ფხაჭნიდენ და ეტყო-  
ბოდათ, მზად იყვენ მსხვერპლის გასაფათრად, თუ კი მოავ-  
ლებდენ კბილს. ბოლოს ტაილგრავმა შენიშნა: შერარუ,  
აი რაგითხრათ, თქვენ უნდა ძალლები დააბათ. ეს ვაჟბატონი  
ბელვილში ავიყვანოთ და საქვეყნოთ, ყველა მონების წინ,  
ჩამოვახრიოთ!.

შერარდი ჯერ უარზე იდგა და არწმუნებდა, ძნელია ეხლა  
ძალლების დაოკება, რადგანაც მსხვერპლს თვალით ჰქონდვენ.  
მაგრამ მოხუცი პლანტატორი შეურყეველი გამოდგა თავის  
გარდაშეცვეტილებაზე და შერარდიც ურდა დათანხმებულიყო,  
თუ ჰსურდა, რომ მისთვის ფული დაეტყუვნა. მართალია,  
სხულდა მას ისინი, როგორც მებატონენი, მაგრამ რას იზამ-  
და, მათთან ჩხები მის ჯიბისთვის სახეირო არ იყო და ამი-  
ტომ დათანხმდა. ძლივ ძლივობით მოახერხა ძალლების და-  
ოკება; რადგანაც ხელით შეჩერება ასეთ გაცოფებულ ძალლე-  
ბისა ყოვლად შეუძლებელი იყო, ამიტომ მან ისინი თოკით  
ცხენის უნაგირზე გამოაბა.

როცა ძალები მოაშორეს, მულატი ძირს ჩამოვიდა. მას გაშინვე უკან გაუკრეს ხელები და ამნაირათ წაიყვანეს ქალაქში. დროებით შიში ალარაფრისა არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ ის კი კარგათ იცოდა, რომ თეორები არ დაინდობდენ, ხეირს არ დაუყრილენ, როცა ქალაქში მივიღოდენ. აბა რა ესაქმებოდათ მათ ზანგებთან, თუნდა თეორიისგან წარმოშობილ-თან! მით უმეტეს, რომ ის თავისუფალი იყო, უბედურს გამოესყიდნა თავი სისხლის ფასად, აუტანელი ჭაპანშევეტის შემდეგ, ახლა ის მათთვის უკვე სასარგებლო აღარ იყო და ამიტომ მისი სიკვდილი თეორებს არავითარ ზარალს არ მოუტანდა.

(გაგრძელება იქნება).

ნატალია კასრაძე.

# მთვარის მოგზაურობა

ანდრეაშვილისა  
 სურათი მერვე.



ყური დამიგდეთ, აი რა მიამბო  
 კი მთვარემ! ერთ მეტათ ვიწრო ქუჩა-  
 ზედ, სწორეთ ისე ვიწრო ქუჩაზედ,  
 საცა მხოლოდ ერთად ერთ წამს შე-  
 საძლო იყო შემეჩერებინა სახლების  
 კედლებზედ ჩემი სხივები, შევნიშნე მწუხარეთ ავად-  
 მყოფი ქალი. თექვსმეტი წლის წინეთ ეს ქალი სულ  
 პატარა ბავშვი იყო, ბავშვი სრულიად უდარდელათ,  
 ყოველთვის მხიარული, კოპტიათ ტრიალებდა, დახტოდა  
 მღვდლიანთ ბალში.

ყვავილების ბუჩქარი, რომლითაც შემოზღუდული იყო  
 ეს ბალი, დროთა ვითარების გამო მოძველებულიყო და სი-  
 ყვითლის ფერი გადაკროდა. ბუჩქარს ისე დაეგრძელებია  
 ყლორტები, რომ ვაშლის ხეების მაღალ ტოტებს სწვდებო-  
 დენ და გრეხილივით გარს ევლებოდენ. ბალში აქა-იქ ნა-  
 ზათ ხარობდენ ვარდები, თუმცა ისე ლამაზი არა, როგორიც  
 ეს შეშვენის ყვავილთა შეფეს, მაგრამ ფერი და სუნი კი ყვა-  
 ვილთა მეფისა ჰქონდათ.

მღვდლის პატარა თმა ხუჭუჭა გოგონა გაცილებით უფ-  
 რო ლამაზ და კოკომ ვარდათ მეჩვენებოდა ბალის სხვა მრა-  
 ვალ ვარდთა შორის. პატარა ცქრიალა გოგონა მუდამ მხია-  
 რული და უდარდელი იჯდა ყვავილთა შორის სკამზედ და  
 ტკბილათ ეალერსებოდა თავის დედოფალას.

ათი წლის შემდეგ კვლავ ვნახე მღვდლიანთ ქალი. მე  
 შეგნიშნე იგი ერთს მეჯლისზედ, მდიდრულათ მოწყობილს  
 სახლში. მღვდლის ქალი ამ დროს მდიდარი ვაჭრის ცოლი  
 იყო.



მე სულითა და გულით ვნეტარობდი, რომ იყი სრული ად ბედნიერათ სთვლიდა თავის თავს. მე თითქმის ყოველ სა-ღამოს ცდლილობდი მის ნახვას. მღვდლიანთ ქალი სრულიად კმაყოფილი იყო თავის ცხოვრებით.

ყოველდღიურ ცხოვრებას თავისი სამწუხარო შედეგი აქვს და მღვდლიანთ ბალის უმშვენიერესი ვარდიც ვერ ასკდა ამ სამწუხარო შედეგს. ამ სამწუხარო შედეგის მოწამე ვიყავი სწორეთ დღეს საღამოს.

აი, ერთს ვიწრო ქუჩაზედ, მის კუთხის ერთ-ერთს სახლში ცოცხალ-მკვდარი იწვა ლოგინზედ მღვდლიანთ ქალი. ბორო-ტი სახლის პატრონი ავადმყოფს ცივს საბანს მოუხეშავათ აძ-რობდა და ყურში მოურიდებლათ ჩასახოდა:

„აპსდევ ლოგინიდან, ფეხთ ჩაიცი, იშრომე, საზრდო შემოიტანე სახლში, თორემ ქუჩაში გაგავდებ!..

— პირში სული მიწყდება, სიკვდილი მაინც მაცალე, ნუ მიშხამებ უკანასკნელ წამს! ნაწყვეტ-ნაწყვეტათ ლულლულებ-და საბრალო მომაკვდავი.

ბოროტმა სახლის პატრონშა ანაზდეულათ წამოავლო ხე-ლი ავადმყოფს, დასვა ლია ფანჯარაზედ ანთებულ სანთლის მახლობლათ და თვითონ დაუყონებლივ სახლი მიატოვა.

მე კიდევ შევცემოდი ფანჯარაზედ ჩამოსვენებულ მო-მაკვდავს, იყი უმოძრაოთ იყო მიკრული ერთს აღილას კალ-თაში ხელებ ჩაწყობილი. ქარი გაღებულს ფანჯარაში მძლავ-რათ ზუზუნებდა და მინებს ერთი მეორეზედ ამსხვრევდა.

მომაკვდავი ისევ უმოძრაოთ იყო ერთს აღილას. ქარი ისევ მძლავრათ ზუზუნებდა და ლია ფანჯრებზედ ჩამოშვებუ-ლი ფარნები სანთლის შუქზედ ათასგვარათ ეფინებოდენ მო-მაკვდავის ფერმიხდილს სახეს. საბრალომ უკვე სამუდამოთ განუტევა ტანჯული სული. ქარი კი ისევ ძველებურის სიმ-დლავრით ზუზუნებდა და გამვლელ-გამომვლელს თითქო მი-ცვალებულზედ უთითებდა და ყურში მაგრათ ჩასახოდა: „აი, მღვდლიანთ ბალში მოწყვეტილი უმშვენიერესი ვარდი!“...

ა. ყუმისთაველი.

# ლ ე გ ე ნ დ ა

კოტეს ნამბობი.

(ცუძღვნი თამარა ნოდიას).



ამის ცხრა საათი იქნებოდა. კოტეს ბავშვებს ჯერ კიდევ არ ეძინათ. ისინი მოუთმენლად ელოდენ მამის მოსვლას და მუდამ წუწუნით ეკითხებოდენ დედას.

— დედა, როდის მოვა მამა? აქამდის რად დაიგვიანა?

— მალე, შვილო, მალე. მაგრამ თუ გეძინებათ — დაიძინეთ. ხვალ მთელი დღე თქვენთან იქნება, თქვენთან ითამაშებს და ამბებსაც ბევრს გიამბობსთ.

— არა, დედა, არა. ჩვენ არ დავიძინებთ, სანამ მამა არ მოვა. მამა გუშინ კაი ამბის მოყოლას დაგვპირდა. თქვა პატარა ზალიკომ.

— ააა! ეძინება! ეძინება შალიკოს! წამოიძახა უცებ მათიკომ.

— არა. უკაცრავათ, მე სრულებითაც არ მეძინება. ცოტა თვალები მეტუჭება, მაგრამ ეს რა უყოთ! წყალს შევისხამ და გამოვფხიზლდები. სთქვა შალიკომ და გავიდა გარეთ. კარებში გაჰყო თავი თუ არა — წინ მამა შემოხვდა.

— მამა მოდის, მამა! მიაძახა სიხარულით აღტაცებულმა და ფიცხლავ გამოაღვიძა ყველანი. სურათი შეიცვალა. ძილით მოქანცული ბავშვები უცნაურათ გამოცოცხლდენ. ყველანი მამას გარს შემოერტყენ და ტკბილი ალერსით საესე მუსაიფი გაუმართეს. მამამაც მხიარული სახით შეხდა პატარებს. სიყვარულით გადუსვა ყველას თავზედ ხელი და გვერდით მოისხა.

— სად იყავი, მამილო, ამდენს ხანს? ჩვენ კინალამ და-  
გვეძინა.

— მერე რა, შვილებო, დაგეძინათ!..

— არა, მამა, გუშინ რომ დაგვპირდი? უნდა გვიამბო!

— ახლა ხომ გვიანაა, შვილებო! ახლა დაიძინეთ და  
ხვალ მთელი დღე თქვენთან ვიქნები, იმ ამბავსაც გეტყვით  
და ბევრს კიდევ სხვასაც.

— არა, მამა, ჩვენ არ გვეძინება! გვითხარით და მერე  
დავიძინებთ.

— მაშ, კარგი. აბა ყური დამიგდეთ. უთხრა ყმაწვილებს  
კოტებ და დაიწყო: „ჩვენ მშვენიერ საქართველოს ბევრი თა-  
ვისი მსგავსი მშვენიერი კუთხები აქვს. ერთს ამგვარ კუთხე-  
თაგანს სამეგრელოს უწოდებენ. სამეგრელოს უწინდელ დრო-  
ში ბერძნები „პონტი“-ს ეძახოდენ.

ის ამბავი, რომელიც მე უნდა გიამბოთ უწინდელ დროს  
ეკუთვნის; დიდი ხნის ამბავია და თუ კარგათ ყური არ დამი-  
გდეთ, ვერ დაინახსოვნებთ. მაშინ ჩვენი ქვეყნის საქმეებს ჩვენ-  
ვე განვაგებდით. საქართველოს ყველა კუთხეებში თავთავისი  
მეფეები გყვავდენ. ჩვენი ენა, ჩვენი მწერლობა ჩვენსავე ხელ-  
ში იყო და ყვავოდა. სამეგრელოსაც თავისი მეფეები ჰყავდა  
და განაგებდა. იმ დროს ყველა სამეგრელოს მეფეებში რო-  
გორც სიმდიდრით, ისე სიმძლავრით განთქმული იყო მეფე  
გიორგი. დიდებული იყო მისი სასახლე. ძვირფასი იყო მისი  
მორთულობა. მრავალ ადგილას ჰქონდა მეფეს ციხე-სიმაგრე,  
სასახლე და კოშკები. საკვირელებით იყო მოცული მთელი  
მისი სამეფო.

იმ დროს რუხის ციხე ქალაქათ იწოდებოდა და მისი  
დუქნები ერთი სახურავით იყო გადაბმული ანაკლიის ქალაქის  
დუქნებთან. ეს კიდევ რა იყო.

საკვირველებას და განცვიფრებას მეფის ერთად-ერთი ასუ-  
ლი წარმოადგენდა. ადამიანის თვალს მასზედ ულამაზესი და  
უშვენიერესი არც უნახავს და კერც ნახავდა.

მისი ბრწყინვალე ცეცხლის მფრქვევი ნიჭით სავსე თვა-  
ლები მზის სიბრწყინვალეს შუქს უკარგავდა. მისი მსგავსი სი-

ბადრე და სინარნარე ცოცხალ ადამიანს იშვიათად შევდება სანახავათ. იგი მუდამ კოშკში იჯდა და მზეს არ უჩვენებდა პირის სახეს, რისთვისაც მას „მზეთ უნახავს“ უწოდებდენ.

მეფის მრავალგვარ საკვირველებათა შორის სამი საკვირველება ყველაზე უფრო შესანიშნავი იყო.

ერთი საკვირველება ის იყო, რომ მეფეს ჰყავდა „ოქროს მატყლოვანი“ ცხვარი. ეს ცხვარი ძლიერ ღონიერი იყო. მისი ძლიერება ქვეყანაში იცოდა. არავის მისი დაძლევა არ შეეძლო.

მეორე საკვირველებას ის შეადგენდა, რომ მის სამეფო-ში, ერთს ადგილას მიწიდან ამოქუხდა მუდამ დაუშრეტელი ცეცხლის აღი, რომლის სიმხურვალეც შორს, ძლიერ შორს უწევდა და შიშის თავზარს სცემდა ყველას, ეინც კი რამე შეურაცყოფას მიაყენებდა მეფეს, ან მის სამეფოს. არავის მისი მიკარება არ შეეძლო. მეგრელების გარდა, არავის მის ახლოს გავლაც არ შეეძლო.

მესამე და ყველაზედ უფრო გასაკვირველი ის თორმეტი მშვენიერი გაუთხოვარი ქალი იყო, რომელიც ციხის ძირში, ანუ ქაჯეთის ციხეში, რკინის ჯაჭვებით ერთმანეთზედ გადაბ-მულნი, შეპყრობილნი იყვენ. ვის არ ენატრებოდა მათი ნახვა, მათთან ლაპარაკი და ამბის შეტყობა, მაგრამ ვინ ელირ-სებოდა ამგვარ ბედნიერებას?! თავისუფლებას მოკლებული ქალწულნი გულის ძერით მოელოდენ იმ ბედნიერ წამს, როცა ჩვენს ქვეყანას თავისუფლების სიო დაპერავდა და ამგვარ მათ ჯოჯოხეთურ ცხოვრებას ბოლო მოელებოდა. მათი სი-ლამაზე რაღაც უჩვეულებრივო იყო. იგი მზეს აბნელებდა, მთვარეს სირცვილით სინათლეს უკარგავდა და ვარსკვლავები ვეღარც კი ბედავდენ თამამათ შეეხედათ, ისე დარცხვენილი აქა-იქ მორიდებით იბჟუტებოდენ. შორს იყო გავარდნილი მათი სილამაზის ამბავიც. შავი ზღვა, მისი ნაპირა ქვეყნები კბილებს ილესავდენ სამეგრელოზე და მის საკვირველება-სიმ-შვენიერეზედ. ყველას დიდი მაღა აუშალა ამ ქვეყნის სიმდი-დრე-მშვენიერებამ. არავის არ დაადგებოდა ყელზედ, რომ რამეფრათ ხელში ჩაეგდოთ და დაპატრონებოდენ. მთელი ეს-



ქვეყანა და მისი სიმღიდოები-საკვირველებანი ამ მეფის ასულის —, მზეთ უნახავის“ მემკვიდრეობა იყო. მეფეს ვაჟი არ ჰყავდა და ეს აუარებელი სიმღიდოები მარტო ამ ერთი ქალის მზითევი იყო. ყველამ კარგათ იცოდა ეს ამბავი. ყველას უნდოდა დამოყვრებოდა მეფეს და ეს ავლა-დიდება ხელში ჩაეგდო მაგრამ ყველას არ შეეძლო ის საკვირველი პირობა შეესრულებია, რომელსაც მეფე თავის სასიძოს ქალის მიცემამდის ეუბნებოდა.

მეფის ასულის შერთვა მხოლოდ იმას შეეძლო, ვინც „ოქროს მატყლოვან“ ცხვარს დასძლევდა, მიწიდან მჭურავ ცეცხლის ალს დააქრობდა და თორმეტ დაპატიმრემულ ქალწულს თავისუფლებას მიანიჭებდა. ძნელი იყო ამ გვარ პირობის შესრულება, მაგრამ მაინც ვერ შეაშინა ამ სიძნელემ საბერძნეთის მეფის შვილის მკვირცხლი, მძღავრი და მამაცი გული. შორიდან ის დიდი ხნით იცნობდა სამეგრელოს, ხშირად სმენია მისი სილამაზე, სიმღიდოები და მკვიდრთა ვაჟებულის ამბავი.

შეიარაღდა ვაჟ-კაცურათ, გამოაწყო სამგზავრო ხომალდები და ერთს შუვენიერს დილას თავის სამეფო ხომალდით კოლებიდის ნაპირს მოადგა. აქ დაწვრილებით შეიტყო „მზეთუნახავის“ ამბავი და დილას თვითონ სამეგრელოს მეფეს სასახლეში გამოცხადდა.

სამეგრელოს მეფემ დიდის აღტაცებით მიიღო უცხო სტუმარი. მის საპატივცემოთ გამართა ნადიმი და ყველა თავის სამეფოს მაღალი წოდება მიიწვია. გაიმართა ლხენა-მეჯულისი, მეფის ქალის სილამაზე თითქმის მთლად ჩაჩრდილა ბერძნის მეფის შვილის სილამაზემ. ქალ-ვაჟის ყურებას აღარაფერი სჯობდა. მეფის ასულს ძლიერ მოეწონა ვაჟი. ვაჟსაც ეტყობოდა, რომ ძლიერ მოსწონდა მეფის ასული. ფარული სიყვარულის ალი ორივეს სწვავდა-დაგავდა.

ლხინი გამართული იყო და სტუმრები სიამოვნებდენ. მეფეც მხიარულობდა ამ სტუმრიანობით. იგი შესანიშნავი მასპინძელი იყო. ძროხები და წვრილ-ფეხა საქონელი ასობით იკვლოდა.

ძროხის ცხელ-ცხელი ბეჭები სუფრას ამშვენებდენ. წითელი ღვინო მერიქიბეს ხელით ყანწებში გადაღიოდ-გაღმოდიოდა. გამზიარულდენ სტუმრები.

გამხიარულდა მასპინძელიც. მეგრელების ცქრიალა ქალებმა თავის მშვენიერის სიმღერით მთლად მოხიბლეს ბერძენი. „მზეთ უნახავის“ ჩონგურის სიმთა უღერამ კიდევ უფრო გააცხოველა ბერძენში ეს გრძნობა და ააღელვა. ვაჟი უცებოცნებამ გაიტაცა. ქალმა ჩონგურის სიმთა უღერაც შეაჩერა. მის ბრწყინვალე, ცეცხლის მფრქვევ თვალებს. რაღაც ჩრდილი მიაღვა, მიბნიდა. თეთრ ლოკებზედ მკრთალი ნაცრის ფერი გადაეკრა...უცებ ქალს გული შეუწუხდა...ნადიმი შესწყდა... ლხინს თავი დაანებეს და გულშეწუხებული ქალი უგრძნობლათ მეორე ოთახში გაიყვანეს... შეინძრა მეფის სასახლე... შეწუხდა მეფის ბერძნის შვილიც... აღელვებული ისიც თავის ოთახში გაიყვანეს. სასახლის სტუმრები დაიშალენ, თავ-თავიანთ ოჯახებში წავიდ-წამოვიდენ. სტუმრათ მოსული მეფის შვილი ოთახში მარტო მოასვენეს... მაგრამ რა მოასვენებდა ამ ამბის მნახველს.

შუალამე კაი ხნის გადასული იყო, მაგრამ ბერძენს ძილი  
არ ეკიდებოდა. მეფის ქალის სილამაზით მოხიბლული ღელავ-  
და, ოცნებობდა და სწუბდა... გათენებამდის სულ რამოდე-  
ნიმე საათი-ლა დარჩენილიყო... დაღლილ-დაქანცულ ყმა-  
წვილს ცოტა მიეძინა. ძილში რალაც ხმაურობა მოესმა... თი-  
თქმ კარი გაიღო და ვიღაცის ფეხის ხმაურობა მოისმა. და-  
უგდო ყური... კიდევ გაიჭრიალა კარებმა... ბერძენმა თვა-  
ლები გააბილა. გონგედ მოვიდა... ცოტა ხანს ფიქრებმა გაი-  
ტაცეს: სად ვარ? მძინავს თუ მღვიძავს?..

— ჩო! აჟ! ვინა ხარ?

— სსუუ! მოისმა დედა-კაცის ხმა! აი, ეს სამი ღოქი წყალი... ხვალ ამით მეფის საკვირველებას ყველას დაიმორჩილებ. წვეთი წყალი მიასხი „ოქროს მატყლოვან“ ახვარს — თავისით დაგმორჩილდება... ასევე მოიქეცი დანარჩენ საკვირველების დასაძლევათ და მეფის ქალი შენი იქნებათ. — უთხრა უცნობმა ქალშა და უცებ გაჰქრა. განცვითებული ბერძენი სახტათ

დარჩა. ისევ ოცნებას მიეცა. ამასობაში აღმოსავლეთმა კარი გააღო და განთიადის სანატრელშა სინათლემ ბნელით მოცული ცის კამარა თავის ძლევა მოსილ სხივებით გააპო და ჩაბნელებულ ქვეყანას სამოქმედოთ თვალები აეხილა, ბერძნის შვილი ადგა... ჩაიცვ-დიიხურა და მეფეს თავის სასახლეში სალამი უძღვნა... მეორე დილას მეფემ კიდევ უკეთესი მეჯულისი გამართა.

სადილობამდის ბერძენმა მეფეს კაცები აახლა და მისი ერთად ერთი მექვიდრე — „მზეთ-უნახავი“ ცოლათ გამოსთხოვა. ამ სიტყვებზედ მეფეს გაეცინა და გამოგზავნილ კაცების პირით სამი პირობის შესრულება შეუთვალა:

„ჩემი ქალი მხოლოდ იმას წაჟყვება ცოლათ, ვინც ჩემ ოქროს მატყლოვან ცხვარს დასძლევს, თორმეტ ქალშულ ქალებს ქაჯეთის ციხიდან გაანთავისუფლებს და ჩემ სამეფოში ერთს ადგილას მიწიდამ ცეცხლის მფრქვევ ალს ჩააჭრობსო“... მოციქულებმა მეფის სიტყვები ბერძენს გადასცეს... ბერძენმა დაუყოვნებლივ მიიღო თავის თავზე ამ პირობის შესრულება. ბერძენი გამოეწყო მეფის ტახტის მექვიდრის ტანისამოსით, წაიღო თან ეს სამი დოქი წყალი და მეფეს თამამათ გამოეცხადა... მეფემ დიდის პატივისცემით და მოწიწებით მიიღო ძვირფასი სტუმარი, ალერსიანათ დაუწყო მუსაიფი და შემდეგ საკვირველების სანახავათ წაიყვანა... მთელი სასახლის მსახურნი, დიდებული კარის კაცნი და აუარებელი ხალხი სასახლეს შემოერტყა. ყველა გულის ძეგრით მოყლოდა საბერძნების მეფის შვილის ვაჟ-კაცობას... გამოიყვანეს მოედანზე „ოქროს მატყლოვანი“ ცხვარი... მის შეხედვას არაფერი სჯობდა... წინ მიეგება ვაჟ-კაცურათ გამოწყობილი მშვენიერი ბერძნის მეფის შვილი... ხალხი აღტაცებით აღენებდა თვალ-ყურს და სულგანაბული უცქეროდა ამ დიდებულ ამბავს. უცებ ცხვარმა შემოუტია ვაჟს... ვაჟმა დოქის წყალი გადაასხა რქებზედ... ცხვარმა უცებ რაღაც სისუსტე იგრძნო... მეორეთ კიდევ გამოექანა, მაგრამ სრულებით ძალ-ღონეს მოკლებული თავის თავათ ჩაუვარდა ვაჟს ხელში. ვაჟმა მოკიდა რქებში ხელი და



მეფეს მიგვარა. მეფეს გაუკვირდა... ხალხი სიხარულმა აღი-  
ტაცა, ყველგან ქება, დიდება და მილოცვა მოისმა.

ამას შემდეგ გამარჯვებული ვაჟი ცეცხლის ალთან მიი-  
ყვანეს .. ვაჟმა აქაც თავი ისახელა. ცეცხლის ალს რამოდე-  
ნიმე წვეთი წყალი მიასხა და ეს მუდამ დაუშრეტელი ცეც-  
ხლის ალი იმ წამსვე ჩაჰავდა. კიდევ სიხარული და მილოცვა...  
სიხარულით აღტაცებული ვაჟი გრძნობს თავის სიძლიერეს და  
ახლა თვითონ ითხოვს მეფისაგან...—მესამე საკვირველება სად-  
ლა, გვაჩვენეთ! — გეტყობა, ვაჟ-კაცი ყოფილხარ და მესამე  
საკვირველებასაც დაიმორჩილებო. უთხრა მეფემ და თორმეტ  
ქალწულის განთავისუფლება დაავალა. მესამე დოქით მეფის-  
შვილი ქაჯეთის ციხის კარებს მიადგა. სამი წვეთი წყალი  
კედლებს მიასხურა და კედლები თავისით გაიშალენ... ცხრა  
კლიტულში ჩაკეტილი თორმეტი ქალი გაათავისუფლა და ამ-  
დენი ხნის ბორკილი ლუკმა-ლუკმათ აქცია... —

მთელი ზაყურებელი ხალხი განცვიფრდა... უყურებდა  
და თავის თვალს არ უჯეროდა. მთელი დედა-მიწის ზურგზედ  
ამ პირობის შესრულება ვერავინ ვერ შესძლო და ბერძენმა  
კი შესძლოვთ. მეფეს მეტი აღარა დარჩა-რა... გახარებული  
მივიდა... ვაჟს გადაეხვია, მაგრათ გულ-მკერდში მიიკრა, გა-  
დაკოცნა და თავისი ასული ცოლათ მიულოცა. „მზეთ უნა-  
ხავი“ იმ წამსვე კოშკიდან გამოიყვანეს და მეფის შეიღს ცო-  
ლათ შერთეს. გაიმართა ქორწილი და ხელ-ახალი მხიარულე-  
ბა... დიდ-ხანს გაგრძელდა სასახლეში ეს დიდებული ლხენა-  
მეჯლისი... ახლად ჯვარ დაწერილები მოსასვენებლათ დაემ-  
ზადენ... ყველას გამოეთხოვენ. „დამე მშვიდობისა“ უსურ-  
ვეს... მათ პასუხათ „დილა სიამისა“ — მიიღეს და ყველა თა-  
ვიანთ ოთახებში წავიდ-წამოვიდენ.

— ახლა, ვვონებ, თქვენც გეძინებათ, შვილებო და მაშ  
„დამე მშვიდობისა!“ უთხრა კოტემ და გაათავა თავის ამბავი.

— დილა სიამისა, მამილო! ყველამ ერთად მიაძიხა სა-  
ყვარელ მამას და ცოტა ხნის შემდეგ დასაძინებლათ თავიანთ  
ოთახებში წავიდ-წამოვიდენ...

თეოფ. ხუსკივაძე.

# საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიიდან.

პირველი წერილი. შერომელი სალხის ისტორია.

(გაგრძელება).

## II. უფალი და მონა.

**Q**შრომლათ ვერც გაძლები, ვერც ჩაიცვამ და ვერც გა-  
თბებით,— ეს. ჭეშმარიტება ადამიანებმა ამ ქვეყნად  
პირველი ფეხის გადადგმისათანავე შეიგნეს. შრომა კი  
პირვანდელ ადამიანს,— როგორც ბუნებითათ ზარმაცისა და  
უდარდელს მოქეთფეს,— ჭირივით სძულდა, ეხლანდელი ვე-  
ლურების მსგავსათ. ამიტომაც მას აქეთ, რაც ადამიანმა მის-  
თვის საძულარ შრომას ხელი მოჰკიდა, იგი მუდამ იმის ზრუ-  
ნვაში იყო, რომ ამ არა სასიამოვნო ტვირთისაგან თავი დაე-  
ძრინა როგორმე. ამის გამო იგი უძველესი ღროიდან ცდი-  
ლობდა სხვას დაწოლოდა კისერზე, სხვისი ნაშრომით ესარ-  
გებლნა. უკვე საგვაროვნო კავშირშიაც კი ყველა წევრი ერთ-  
გვარ შრომას არ ეწეოდა: ვინც უფრო ძლიერი იყო, იგი  
თავისი ღონით სარგებლობდა, რომ მძიმე სამუშაო სუსტები-  
სათვის დაეკისრებია.

პირველ-ყოფილ კავშირში ძველათგანვე ისეთი წესი და-  
მყარდა, რომ მთელი საყოველდღეო აუცილებელი შრომა  
უთანასწოროთ განაწილებული იყო მამაკაცსა და დედა-კაცს  
შორის. ქმარი მარტო სანადიროდ დაიარებოდა და მეზობ-  
ლებს ეომებოდა,— სხვა ამის მეტი საქმე მას არ ეკითხებოდა.  
მთელი საოჯახო საქმე ქალის ხელში იყო: ქალი აგროვებდა  
ფიჩებს, ინახავდა ცხოველმყოფელ ცეცხლს, საჭმელს ამზადებ-  
და, ჰკერავდა, ქოხს აშენებდა, მცენარეულობასა და ხილს



## საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიიდან

ეძებდა, შემდეგში კი საბოსტნე და საპურე მცენარეებს უვლიდა, სთესდა და მკიდა. ქმარი ოოცა ომიდან ან ნადირობიდან დაბრუნდებოდა, მთელ დღეს უქმათ იჯდა და გულგრილათ უცქეროდა მისი ცოლის ჭაპან-წყვეტას.

მეომრისა და მონადირის საქმე კი არამც თუ შედარებით უფრო მსუბუქი იყო, ამასთანავე მამაკაცს პატივსაც სქენდა: მისი ოონის მაჩვენებელი იყო და დედაკაცზე გაცილებით მაღლა აყენებდა. შრომის განაწილებამ ის გამოიწვია, რომ დედაკაცმა საგვაროვნო კავშირში დაბალი, დამოკიდებული ადგილი დაიჭირა, მამაკაცის მონა და მოსამსახურე გახდა.

აი ოოგორ აგვიწერს ერთი მოგზაური ველური ავსტრალიელი ქალების მდგომარეობას ჩვენს დროში:

—გათხოვების დღიდან ავსტრალიელ ქალს ნამდვილი მონური ცხოვრება ეწყება: ყველაზე უფრო სამძიმოსა და არა-სასიამოვნო შრომას მას ატვირთებენ და საკმარისია მცირეოდენი შეცდომა, რომ სასტიქმა ქმარმა შეუბრალებლათ ცემა დაუწყოს. პურისჭამის დროს იგი მამაკაცებთან ვერ დაჯდება, არამედ კარგა მოშორებითაა მოთვხნილი და ჩუმათ, ძალებთან ერთათ, ნასუფრალს შეექცევა, იმ ნასუფრალს, რომელიც უმეტესათ მისივე ხელითაა ნაშოვნი და შემზადებული. გადაბანაკების დროს დედაკაცს აჰკიდებენ ხოლმე მთელს საიჯახო ბარგ-ბარხანას ბავშებითურთ. მძიმე მრომისა და აუტანელი ცხოვრებისაგან იგი მაღლ ბერდება და სუსტდება, მაშინ შორს სადმე ტყეში სტოებენ უპატრონოთ, სადაც იგი შიმშილით კვდება“.—ხოლო აფრიკელი მეჯოგე-კაფური. —რომელსაც, სხვა ველურებივით, ჩვეულებად აქვს ცოლის თხოვა შესყიდვით, —თავის ცოლზე ასე ამბობს: „მე იგი ნაყიდი შავს და ამიტომ კიდეც უნდა იმუშაოსო!“ ცოლში მხოლოდ მუშახელს აფასებენ და ყველა ცდილობს, რაც შეიძლება, მეტი ცოლი შეიძინოს.

პირველყოფილ კავშირში ძველათგანვე ასეთი წესი დამყარდა, რომელიც ქალს უფრო მეტს შრომას აკისრებდა და კავშირის ველური წევრები ისე შეეჩიენ ამ წესს, რომ იგი არამც თუ მამა-კაცებს, თვითონ დედაკაცებსაც კი ბუნებრი-





## საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიის ტემა

ვად და სამართლიან წესად მიაჩინიათ. ავსტრალიელ ინდოელებს ძლიერ ეუცხოვათ, როცა დაინახეს, რომ თეთრ-კანიანი მამაკაცები შეშის კონებს დედაკაცების აღგილას თვითონ ეზიდებოდენ. „საყოველდღეო შავი სამუშაო მარტო ქალისთვისაა სავალდებულო, ხოლო მამაკაცს იგი ამცირებსო“, — ამბობდენ იგინი.

ამგვარათ, კაცთა ნათესავში მონიბის ულელი ბედმა პირველათ დედაკაცს არგუნა. მაგრამ სადაც კი პირველ-ყოფილი სანათესაო კავშირი მეურნეობაში წინ-წინ მიდიოდა, — იქ მონა-დედაკაცს გვერდში მამაკაციც ამოუდგა: ეს იყო ტყვედ წამოყვანილი და მონად ქცეული უცხოტომელი, რომელმაც ეხლა დედაკაცზე უფრო დაბლა დაიჭირა ადგილი.

სანამ ადამიანი შეტათ ველურია, იგი უცხოტომელ მონებს არ ინახავს. მეურნეობაში იგი იმდენათ დაბლა სდგას, მისი შრომა იმდენათ უბარაქოა, რომ თვითეული კაცი მხოლოთ იმდენ სარჩის შოულობს, რამდენიც მას თვითონ ყოფნის; მაშასაზამე აქ მონა მხოლოთ თავისი თავის რჩენას თუ შესძლებდა, თორემ ბატონს ვეღარავერს ასარგებლებდა. — მეურნეობის გაუმჯობესების შემდეგ კი, — განსაკუთრებით როცა ადამიანი მიწის შემუშავებას ეცნობა, — თვითეული კაცის შრომა უფრო ნაყოფიერი ხდება; თვითეულ ადამიანს აქ თავიც შეუძლია ირჩინოს და სხვაც არჩინოს. ამავე დროს სხვა და სხვაგვარი ხელოსნობაც ვითარდება და ადამიანის ხელს მრავალგვარი სამუშაო უჩნდება. ამიტომ ამგვარს მეურნეობა-ში მონის ყოლა სასარგებლოა. და სადაც კი ამგვარი სარგებლობა შესაძლო ხდება, — იქ პირველ-ყოფილი ადამიანები მონებს იჩენენ.

უწინ ველურები დამარცხებულ მტერს ცოცხალს არ უშვებდენ, ულმობელათ ულეტდენ, თან მხოლოთ დავლა მიჰქონდათ. ახლა კი საქმეს სხვანაირათ შეხედეს: მათ შეიგნეს, რომ თუმცა სხვისი ქონების წალება სასარგებლოა, მაგრამ იმ ხელების დასაკუთრება კიდევ უფრო სასარგებლოა, რომელნიც ამ ქონებას ჰქმნიან. და გამარჯვებული მეომარი ეხლა

აღარა ჰქონდავს დამარცხებულ უცხოტომელს, რადგან იგი თავის მონად მიაჩნია.

ყველგან, სადაც კი ველურებმა მეურნეობაში მცირეოდენს წარმატებას მიაღწიეს,—ეხლა იგინი თავის სასარგებლოდ უცხო-ტომელ მონებს ამუშავებენ, რომელთაც ყანასა და ოჯახში ყოველგვარს სამუშაოს აკეთებინებენ.

ამ მონების მდგომარეობა ჩვენებური მუშა-საქონლის მდგომარეობისგან ბევრით არაფრით განირჩევა: იგინი მთლიათ თვისი უფალის (ბატონის) ნება-სურვილზე არიან დამოკიდებული. მაგალითად პოლინეზიაში მონას ონავარი თევზების მოსატყუებელ საგნად ხმარობენ; სხვაგან განრისხებულ ღმერთებს მსხვერპლად სწირავენ; ხოლო კაცის-მჭამელ ველურებში მონა იმავე დანიშნულებას ასრულებს, რასაც ჩვენში საკლავი საქონელი... თუმცა ისეც მოხდება ხოლმე, რომ მონებს გვარიანათ ექცევიან:—ჩვენშიაც ხომ ზოგიერთი პატრონი მუშა-საქონელს უვლის და ინახავს!..

მონა ყოველს იმ სამუშაოს ასრულებს, რასაც უწინ ოჯახში მარტო დედა-კაცი ეწეოდა: საჭმელს ამზადებს, გზაში ყოველგვარ ცვირთს ეზიდება, ჰქონებს და ინახავს მცენარეულ სანოვაგეს, ამზადებს ქსოვილებსა და ტანსატმელს, აშენებს საცხოვრებელ ბინებს და სხვ.,—ერთი სიტყვით დედაკაცთან ერთათ შრომობს და მასაც შრომას უადგილებს. ამავე დროს მისი უფალი ან განცხრომით ცხოვრობს, ან მონებისგან დამზადებული საქონელი ბაზარზე გააქვს და აღებმიცემობას ეწევა, ან კიდევ უფრო „მაღალს“ საგნებს ემსახურება, სახელდობრ—მეცნიერებასა და ხელოვნებას.

ძველს რომსა და საბერძნეთში, მათი აყვავების დროს, მცხოვრებთა უდიდეს ნაწილს მონები შეადგენდენ. იგინი მუშაობდენ მინდვრებში, წისქვილებში, სახელოსნოებსა და მაღნებში, შინ უფალს ხელზე ემსახურებოდენ და ამ სახით ყოველგვარი შრომისაგან ათავისუფლებდენ. და მხოლოთ მონების შრომაშ მისცა ბერძნებსა და რომაელებს საღსარი, მეცნიერებისა და ხელოვნებისათვის ასე, ბევრი დრო და ყურადღება დაეთმოთ.

რაკი ერთხელვე მონის შრომით სარგებლობას უერჩივენ, ძველ ერებს ვეღარც კი წარმოედგინათ უმონებოთ ცხოვრება. დიდებული ბერძნის ფილოსოფოს-მეცნიერებიც კი მონაბას ცხოვრების აუცილებელ საჭიროებად და ბუნებრივ მოვლენად სთვლიდენ (არისტოტელი). მათ ვერ შესძლეს ამ საკითხში თავის წრესა და დროს გასცილებოდენ: მონაბა მათაც, ისე როგორც ყველა მათს თანამედროვეს, ცხოვრების გარდუვალ კანონად მიაჩნდათ. მონებს იგინი უცქეროდენ, როგორც განსაკუთრებულის, დაბალი მოდგმის არსებათ, რომელნიც ბუნებას დაბალისა და მძიმე შრომისათვის გაუჩენია.

ძველი ერების თვალში მონა იყო დაბალი არსება— „სულდგმული იარაღი“, როგორც ბერძნები ეძახდენ, ანუ „მეტყველი საქონელი“, როგორც მას რომაელები უწოდებდენ. რომში მონას არავითარი უფლება არა ჰქონდა; იგი თვისი უფალის (ბატონის) ნივთად და საკუთრებად ითვლებოდა; მისი შეილები მას კი არ ეკუთვნოდენ, არამედ უფალს, თითქოს შინაური საქონლის მონაგები ყოფილიყონ. მონას საკუთარი სახელიც არა ჰქონდა, — თავისუფალი ბატონები სახელის ტარების უფლებას თავის პრივილეგიად სთვლიდენ,— და მონას რაიმე უბრალო, კნინობითი სიტყვით მოუწოდებდენ. მონის სიკვდილ-სიცოცხლის უფლება უფალის (ბატონის) ხელში იყო, რომელიც სასტიკათ სარგებლობდა ამ უფლებით. მცირეოდენი დანაშაული საქმაო იყო, რომ მონა საშინაოთ დაესჯათ. საცოდვებს სცემდენ რეინის წყეპლებით, სჩევლეტდენ ჩანგლებით, ჰდალავდენ გახურებული რეინით. ხოლო როცა აუტანელი შრომისა, შიმშილისა, ცემისა და სიბერისაგან მონა სნეულდებოდა, — მას, როგორც უვარების საქონელს, მდ. ტიბროსის კუნძულებზე გაიყვანდენ ხოლმე, სადაც იგი კვლებოდა მშიერ მწყურვალი და ყველასაგან მიტოებული. — ყველაზე უფრო სამძიმო ცხოვრება მიწის-მუშა მონებს ჰქონდათ, რომელთაც თავს მუდამ სასტიკი ზედამხედველი ედგათ. რომ მონები არ გაქცეულიყვენ, ფეხებში ბორკილი ჰქონდათ მიცემული, ხოლო სალამობით, მუშაობისგან მოწყვეტილებს

სადღაც ქვეშ, სულისშემხუთავსა და სველს სარდაფებში, ამ-წყვდევდენ. ამ ბინის შესაფერი იყო ტანისამოსიცა და სა-მელ-საჭმელი, რომელსაც მონები ბატონისაგან ღებულობდენ.

ბევრჯერ აჯანყებულან სასოწარკვეთილებამდე მისული მონები თავისი პატრონების წინააღმდეგ; ერთხელ სიცილის კუნძულზე აჯანყებულმა მონებმა ყველა თავისი ბატონები ამოსწყვიტეს და მთელს სამ წელს ხელში ეჭირათ ძალა-უფ-ლება... მაგრამ საქმე ყოველთვის მონების საუბედუროთ თავ-დებოდა: ამბოხებას აცხრობდენ და საბრალო მეამბოხენი ათა-სობით იღუპებოდენ ჯვარზე მოწამებრივი სიკვდილით.

უმთავრესი წყარო, რომელიც რომაელებ მონებს უხ-ვათ აძლევდა, იყო მათი ძლევამოსილი ლაშქრობა ევროპისა, აფრიკისა და აზიის სხვადასხვა ქვეყნებში, საიდანაც გამარჯვე-ბული რომაელები ათასობით ჰქვე ზღენ დატყვევებულ მცხოვ-რებლებს. ამიტომ, როცა რომაელების ლაშქრობას საზღვარი დიდო, მონების მდგომარეობაც შესამჩნევათ შეიცვალა. ეს მოხდა რომის იმპერიის ბოლო საუკუნეებში. რაკი მონების მომცემი უმთავრესი წყარო შესწყდა, რომაელმა უფალმაც წმონებს სიფრთხილით მოპყრობა დაუწყო, —მათი შოვნა ეხლა ომ ისე ადვილი აღარ იყო!.. ამას გარდა ხანგრძლივმა გა-მოცდილებამ ბატონებს ასწავლა, რომ მონა ცუდი მუშაკია. ამასთანავე, ყოველგვარი სისატიკის მიუხედავათ, მონა მაინც უბრალო „იარაღად“ არ ჰქდებოდა და თავის პატრონს ბევრს უსიამოვნებას აყენებდა. ყოველივე ამან პატრონები აიძულა მონების მდგომარეობა გაეუმჯობესებინათ, რომ მათი შრო-მისაგან უფრო მეტი და უტყუარი სარგებლობა მიეღოთ: სა-ჭირო იყო, მონები თავისსავე ნაშრომში დაეინტერესებინათ... და აი, უფალი (ბატონის) აძლევს მონას ნაჭერ მიწას და უშენებს ბინას, ნებას აძლევს საკუთარი ოჯახი, ბაღ-ბოსტანი და საქო-ნელიც გაიჩინოს; ბატონის მიერ ნაბოძები ჩამონაჭერის მო-სავლის ერთი ნაწილიც მონას ეძლევა; და იგი მოვალეა მხო-ლოდ ზოკიერთ დღეებში ბატონის სახლში იაროს სამუშაოდ.

ამ რიგათ რომაელი მონის მდგომარეობაში შესამჩნევი ცვლილებანი შემოვიდა: იგი თანდა თან ნახევრათ თავისუფალი

## საჭიროებისა და სახელმწიფოს ისტორიიში

შეიქნა. და რაც უფრო მაღლა-მაღლა აიწია თავისუფლებისა კენ, შეუ გზაზე იყო შეეყარა გალარიბებულს რომაელ მოქალაქეს, რომელიც ვალის გამო თავისივე მდიდარი თანამეტო-მის ყმად იყო ქცეული. თუ როგორ ხდებოდა თავისუფალო აღამიანების ყმად გადაქცევა—ამის შესახებ შემდეგს წერილებში გვექნება ლაპარაკი.—აქ კი საქართველოს რომ მონობა, ბერძნებისა და რომელებს გარდა, ევროპისა და აზი-ის სხვა ერებშიაც იყო ცნობილი. მას კარგათ იცნობდენ რო-გორც ქართველების, ისე რუსების წინაპრებიც.

სტრაბონის მოწმობით, უკვე პირველ საუკუნეში ქრ. წინ ივერიელების ერთი (მცირე) ნაწილი მთლათ „მონებისაგან“ შესდგებოდა, რომელნიც მეფის გვარის საკუთრებას შეადგენდენ, მის წევრებს ყოველგვარ სამასურს უწევდენ და უმზადებდენ ყველაფერს, რაც მათ სარჩენად იყო საჭირო. შემდევ საუკუ-ნებში კი მონობამ უფრო ფართეთ გაიღგა ფეხი ქართველებ შორის. მეთორმეტე საუკუნეში, შოთა რუსთაველის დროს, მონების მდგომარეობა იმდენათ უნუგეშო და შესაბრალისი იყო, მაგალითად, რომ ამას თვით დიდებული ქართველებიც ველარ ჰყარავდენ და თავის ანდერტში, ავთანდილის მსგავ-სათ, სურვილს აცხადებდენ: ჩვენი სულის სანუგეშოდ და „დასალოცავად“ გლახაკებს ჩვენი საჭურჭლე (ხაზინა) მიეცია დ მონებს—თავისუფლებაო („მიეც ვლახაკთა საჭურჭლე, ათავი-სუფლე მონებია; მიღვწიან, მომიგონებენ, დამდოცვენ, მოვეგო-ნები“). როგორც ბევრგან სხვაგან, საქართველოშიაც მონობა —ყმობად გადიქცა \*), თუმცა „ყმათა ყიდვა“ მე-XIX საუ-კუნის მეორე ნახევრამდისაც არ შეწყვეტილა.

ამასვე ვხედავთ რუსთა ცხოვრებაშიაც. რუსეთის მთავრებს ლაშქრობის დროს ჩვეულებად ჰქონდათ, როცა მტრის ქვეყა-

\* ) ვახტანგ-მეფის კანონები (XVIII საუკ.), რომლებშიც ჩვენში მე-XIX საუკუნეშიაც მოქმედობდა, ყმის შესახებ შემდეგი აზრისა: „ყმისა ყოველივე ბატონისა არის“—ო, რასაც სავსებით ეთანხმებოდა ჩვენი მებატონების უფლებრივი შეგნებაც, რომელიც ისე საუცხოვოთ გამოხატა ჩვენმა მგოსან-მწერალმა ილია ჭავჭავაძემ კნ. ჯარეჯანის პირით: „გოგოც ჩემია და მისი ჩით-მერდინიცაო“. ს. გ.

ნას შეესოდენ, აიკლებდენ მას და ცდილობდენ, რაც შეეძლოთ, მეტი ტყვეები წამოეყვანათ; ტყვეებს, მაშინდელი ადათის მიხედვით, მონებად აქცევდენ და მთავრისა და მისი ამალის მიწებზე ასახლებდენ. „მე-XI—XII საუკუნეში კიევის რუსთის კეთილდღეობათ,—ამბობს ისტორიკოსი,—მიწათმფლობელობაზე იყო დამყარებული, რომელიც მე-XVII საუკუნეში უზომით გაიზარდათ“. რუსული კანონით მონა იგივე იყო, რაც მუშა საქონელი. ამიტომაც მუშის მოკვლას კანონი ისე უცეკროდა, როგორც ქონების დაზიანებას და მკვლელი-საგან მხოლოთ სასყიდელს თხოულობდა პატრონის სასარგებლოდ. თავისი მონა კი ბატონს შეეძლო მოეკლა: ამაზე კანონი არავითარ სასჯელს არ უნიშნავდა.

ამ სახით, მუშა-ხელისა და მუქთა შრომის ძებნაში, სხვა-და სხვა ქვეყნის მცხოვრებლები ერთსა და იმავე საშუალებას ხმარობდნ: უცხოტომელებს ატყვევებენ და მონებად აქცევენ. მონების მდგომარეობა ყველგან ერთნაირია: იგინი „სულ-დგმულ იარაღებად“ ითვლებიან, ვალდებული არიან თავისი ბატონის სასარგებლოდ იმუშაონ და მთლათ მათს ნება-სურვილს ემორჩილებიან.


### ს. გორგაძე.

**შეცდომის გასწორება.** „ჯეჯილის“ მე-VI ნომერში ამავე სტატიის „შესავალში“ შემდეგი კორექტურული შეცდომაა (გვ. 42, სტრიქ 11—12 ზემოდან):

**სტრიქი:** „მძიმე მრავალსაუკუნოებით შრომით“...

**უდა იყოს:** „მძიმე მრავალსაუკუნოვანი შრომით“.

ს. გ.



## უგულო ბავში.

მონგომერისა \*).

VI.



აგრამ ჯორჯს ძალიან აწუხებდა მისი საიდუმლო, რო-  
მელზედაც არავისთან მოლაპარაკება არ შეეძლო.

— უჰ, რა ძნელია საიდუმლოს შენახვა! — წამოიძახა ბო-  
ლოს მან.— მამა, მოღი სახლში წავიდეთ!

— სახლში? მერე რა გეჩქარება?

— ვილლის ვუამბობ ჩემ საიდუმლოს, თუ არა, დარ-  
წმუნებული ვარ, შენთან წამომცდება

— კი, მაგრამ მე გენერალი კოლვილსი და მოხუცი დაი-  
სონი მყავს სანახავი. ნუ თუ არ წამომყვები მათთან?

ჯორჯს საზოგადოება ძალიან უყვარდა და გადაწყვიტა  
წაჭყოლოდა მამას გენერალ კოლვილსთანაც და მოხუც დაი-  
სონთანაც.

— დაისონი, ეს ის მოხუცი კაცია, რომელსაც არაფერი  
არ ესმის, არა? — ჰკითხა მან მამას.

— ჰო, ის არის.

— ისე დაიბადა, ყრუ?

— არა, მერე დაყრუვდა, სიბერეში.

— რა კარგია, მე რომ ყრუთ არ დავბადებულვარ! რო-  
გორ მომწყინდებოდა, რომ არაფერი მესმოდეს! ნეტავი ვი-  
ცოდე, რატომ ტრუბას არ იყიდის, რომ უკეთ ესმოდეს?

— ალბათ ფული არა აქვს და იმიტომ. ის ხომ ძალიან  
ლარიბია.

— ნეტავი შემეძლოს, ვაჩუქო ერთი ტრუბა მშვენიერი!

— მერე ფული რომ არა გაქვს?

— საქმეც მაგაშია, რომ ფული არა მაქვს! არაოდეს არა მაქვს ხოლმე ფული!

— რა უყავი, მე რომ ამას წინეთ შილლინგი გაჩუქრები?

— სურათებში და კამფეტებში დავხარჯე.

— ჰოო! კამფეტების ყიდვის მაგიერათ რომ აგროვებდე ფულს, ბევრ რასმე იყიდიდი, უფრო სასარგებლოს!

— აწი მოვაგროვებ ყველა იმ ფულს, რომელსაც შენ მომცემ და დაისონს ტრუბას ვუყიდი.

— ძალიან კარგს იზამ.

— მალე მომცემ კიდევ შილლინგს, მამა?

— ღმერთმანი არ ვიცი. ჯერ არ მიფიქრია მაგაზე.

— არ ჯობს, რომ ახლავე დაიწყო, მამა? ტრუბა ძვირათ ღირს, ვაი თუ ნამეტანი დიდ ხანს მოუხდეს ცდა საბრალო მოხუცს.

სერ ევერარდმა ამოილო ჯიბიდან ერთი შილლინგი და გაუწოდა შვილს.

— აბა, შენ იცი, სხვაში არაფერში დახარჯო.

— არა, მამა! — სიხარულით შეპირდა ჯორჯი.

მოხუცი დაისონი ბალში იჯდა, როცა სერ ევერარდი და მისი ვაჟი ესტუმრენ. ის ისე ყრუ არ იყო, რომ სერ ევერარდის ბოხი ხმა ვერ გაეგონა, მაგრამ ჯორჯი კი ამაოთ ეცადა რამდენიმე ხანს რამე თავისი ნათქვამისთვის მიეღწევინებინა მის ყურებამდის.

— რა გაეხარდებოდა რომ იცოდეს, რისთვის ვაგროვებ ფულს! — ამოიხრა ჯორჯმა, მერე ამოილო ჯიბიდან თავისი ახლათ შეძენილი შილლინგი და თავმომწონეთ აჩვენა დაისონს, თითქო ეს შილლინგი მარტო თავისი შეხედულებით გააგებინებდა მოხუცს ჯორჯის შზვენიერ განზრახვას.

დაისონმა გაიღიმა და თავი დაუქნია ბავშს.

— ეე! ეგ ტკბილეულობისთვის გინდა, არა? — უთხრა მან.

ჯორჯმა თავი გაიქნია და ხმა მაღლა დაუყვირა მოხუცს რამდენიმე სიტყვა ტრუბის შეძენის შესახებ.

— არა? — გაუღიმა მოხუცმა. — მაშ სათამაშოებისთვის?

ჯორჯი დარწმუნდა, რომ ვერაფერს გააგონებდა ტადა ემორჩილი თავის ბედს.

— აი, ხომ არაფრით არ შეიძლება ახლა ადამიანშა დაისნოს რამე თავისი საიდუმლო გაუზიაროს! — უთხრა მან მამას, როცა ორივე ისევ ცხენებზე შეჯდენ და გზას გაუდგენ.

— რატომ?

— იმიტომ რომ ნამეტანი ხმა-მაღლა მოუხდებოდა ადამიანს ყვირილი, ყველა გაიგებდა, და რაღა საიდუმლოა ის საიდუმლო, რომელიც მთელმა ქვეყანამ გაიგო? ვთქვათ ახლა მე მოვინდომე დაისონისთვის ჩემი საიდუმლოს გაეგებინება, მივედი და დავუყვირე: „დაისონ! რაღაცას გეტყვით და იცოდეთ, არავის უთხრათ. მე მამას მისი დაბადების დღისთვის საჩუქრათ ვუყიდე მშვენიერი სათუთუნე...“

— ვაი, აკი წამომცდა! — უცებ სასოწარკვეთილებით წამოიძახა ჯორჯმა და უნაგირზე შეხტა. — მამა, გაიგონე? მიხვდი, რაც გიყიდე?

თუმცა ჯორჯმა ისე წამოიყვირა თავისი სიტყვები სათუთუნის შესახებ, თითქო მართლა ყრუ დაისონს ელაპარაკებოდა, მაინც სერ ევერარდს უტყუარათ შეეძლო დაერწმუნებინა ის, არაფერი გამიგონია და არაფერს არ მივხვდარვარო. ის თავის საქმეებზე პფიქრობდა და ბავშის ტიტინს მაინც და მაინც არ აკვირდებოდა.

გენერალ კოლვილსის სასტუმრო ოთახში ორი ქალი და რამდენიმე ბავში დახვდათ. კოლვილსის ცოლმა სერ ევერარდს უთხრა, ჩემი ქმარი ცოტა უღონოთ არის და თავისი ოთახიდან ვერ გამოდისო და მასთან წაიყვანა, ჯორჯი კი სასტუმრო ოთახში დარჩა მეორე ქალთან და ბავშებთან ერთათ.

— შენ რა გქვია, ჩემო პატარა? — პკითხა მას ქალმა.

— ჯორჯ უნკობი. — მიუგო ბავშმა. — თქვენ კი ვინახართ?

— მე კოლვილსის ცოლის და ვარ, — ლიმილით აუხსნა ქალმა. — პატარაობისას მე თქვენ მინახევხართ ბენლეიმში, ბებია თქვენთან. მე მის სიახლოვეს ვდგევარ.

— შეიძლება ერთი საიდუმლო გითხრათ? — უცებ ჰყითხა მას ჯორჯმა.

— რატომ? რასაკვირველია შეიძლება. რა საიდუმლოა?

— ძალიან. ძალიან საიდუმლოა. იმედი მაქსი, თქვენ არავისთან გამამხელთ. მე ჯერ საიდუმლო არაოდეს არ მქონია, და იმიტომ ძალიან მიჭირს მისი შენახვა. თუ ახლა თქვენ არ გითხარით, უსათუოთ მერე მამასთან წამომცდება.

— მერე რატომ არ უნდა უთხრათ მამა თქვენს? ყველას ის არ ეჯობინება, რომ პირდაპირ მას გაუმხილოთ თქვენი საიდუმლო?

— რას ლაპარაკობთ, კოლვილსის ცოლის დავ? სწორეთ მამას არ უნდა გაფუმხილო ჩემი საიდუმლო!

„კოლვილსის ცოლის და“ ცოტა შეკრთა ამ სიტყვებზე, ეგონა, ვაი თუ რამე ისეთი ეშმაკობა ჩაიდინა ამ ბავშვა, რომლისთვისაც ძალიან სასტიკათ დასჯიანო, მაგრამ ჯორჯის სახის მხიარულმა გამომეტყველებამ მალე სრულიად დაამშვიდა და მან ყურადღებით მოუსმინა ყველაფერი. ჯორჯის ამბის კარგათ გასაგებათ მართლა ძალიან დიდი ყურადღება იყო საჭირო, რადგანაც ჯორჯი არაფერს არ უხსნიდა, თან ყველაფერს ყურში უფურჩულებდა, ბავშებმა არაფერი გაიგონონა.

გაათავა თუ არა თავისი საიდუმლო, ოთახში კოლვილსის ცოლი შემოვიდა.

კოლვილსის ცოლი ერთი იმ ჯედათაგანი იყო, რომელიც განსაკუთრებით იმაზე ზრუნავენ, რომ მათი შვილები სხვებზე უარესათ ჩაცმულები არ იყვენ. ის ყველა სხვა ბივ-შების ჩაცმულობას დაუღალავათ აკვირდებოდა და ყველას დაუღალავათვე თარგებს სთხოვდა.

მან ერთხელ ვიჩუინისაც სთხოვა ჯორჯის ერთი ბლუზის თარგი. ვიჩუინის აქამდისაც ვერ მოეტევებინა სერ ევერარდისთვის, რომ მან მაშინვე ბრძანა, ათხოვეთ ნათხოვნი თარგიო და მას აქეთ ჭირივით სძულდა კოლვილსის ცოლი.

დენკომბები და კოლვილსები ერთსა და იმავე საყდარში დაიარებოდენ, ამიტომ ერთ კვირას რომ ჯორჯს რამე ლამა-

ზი ტანისამოსი ეცმებოდა, მეორე კვირას პატარა კოლვილ-სიც იმნაირივე ტანისამოსით გამოცხადდებოდა ხოლმე. ეს კი-დევ უფრო აცხოველებდა ვირეინის სიძულვილს.

— რა შვენიერი ტანისამოსი გაციათ! — უთხრა ახლაც კოლვილსის ცოლმა ჯორჯს, შემოვიდა თუ არა ოთახში.

— მართალია! — დაეთანხმა და. — და ძალიანაც შვენის ჯორჯის!

— კლემენტი, აქ მოდი! — დაუძახა კოლვილსის ცოლმა თავის გაუს. — შეხედე, მერი, რა განსხვავებაა ამ ორ ტანისა-მოსში! სულ სხვადასხვანაირათ არის შეკერილი.

მერი კარგათ ხედავდა განსხვავებას, იმასაც კი ხედავდა, რომ ამ განსხვავების უმთავრესი მიზეზი ჯორჯის სილამაზე და კლემენტის სიუშნოვე იყო, მაგრამ აღარაფერი თქვა, რომ დისთვის ტყუილათ არ ეწყენინებინა.

— თქვენი ვირეინი გიკერავსთ ამისთანა ტანისამოსებს? — მიუბრუნდა ისევ ჯორჯს კოლვილსის ცოლი.

— არა! ამაყათ უპასუხა ჯორჯმა. — ვირეინი მარტო ვილ-ლის უკერავს, ჩემ ტანისამოსს კი ლონდონელი მკერავი კე-რავს.

— რა ჰქვია, არ გახსოვსთ?

— როგორ არა. სვირსი და უელსი ჰქვია.

— მისი აღრესი?

მაგრამ აღრესი ჯორჯმა არ იცოდა.

— მოითმინეთ! — უცებ წამოიძახა მან და დაფიქრდა, თი-თქო რასმე იგონებდა. — ამ რამდენიმე წუთის წინეთ აქ სად-ლაც, ამ ოთახში დავინახე მისი აღრესი. ნეტავი სად? რომელ ადგილას?

— რას ამბობთ? ეგ ყოვლათ შეუძლებელია! — მიუგო კოლვილსის ცოლმა.

— დარწმუნებული ვარ, ნამდვილათ ვიცი, რომ ამ ოთა-ხში დავინახე წელან ეს აღრესი. — თავისას არ იშლიდა ჯორ-ჯი. — აქ ხომ არ იყო? — და ის სტოლს მიუახლოვდა. — ან აქ? — და საღარბაზო ბარათებს შინჯვა დაუწყო.

— არა, არა, გარწმუნებთ, რომ მე სვირსს და უელსს

ვერ ვიცნობ. მაგრამ ჯორჯი ყურს არ უგდებდა და გამოძიებას განაგრძობდა, გადიოდა კარში, შემოდიოდა ისევ თახახში, ათვალიერებდა ყოველ საგანს და არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ორივე ქალის სიცილს და დაცინვას. თან ხმა მალლა მსჯელობდა:

— კარებში რომ შემოვედი, ამ სტოლთან გავიარე, წიგნებს და სამუშაო ყუთს გადავხედე. მაგრამ აქ არაფერია. მერე ფორტეპიანოსთან გავჩერდი, სანამ მამა ქალბატონ კოლვილსს ხელს ართმევდა. აქ ნოტებს შევხედე, მაგრამ აქაც არაფერია. მერე ამ დივანზე დავჯეპი კოლვილის ცოლის დის გვერდიო და ქუდიც აქ დავდევი. ი! — უცებ ისეთი სიხარულით ჭამითახა მან, რომ ორივენი ძლიერ შექრთნენ.

— ი, ადრესი, ჩემ ქუდს აწერია შიგნით. ხედავთ? სვირსი და უელსი, რექნტის ქუჩა, 192. მალე დაწერეთ, ქალბატონო კოლვილს, რომ არ დაგვიწყდეთ.

რა შეწუხდებოდა ვირუნი, მისი ამგვარი ღალატის ამბავი რომ შეეტყო!

სწორეთ იმ წამს, როცა ქალბატონი კოლვილის აღრესის წერას ათავებდა — ოთახში სერ ევერარდიც შემოვიდა და ცოტა ხანს იქით მამა-შვილი სახლისკენ გაემგზავრენ.

— ახლა ჩემ თავს უკეთ ვვრძნობ! — გამოუცხადა ჯორჯმა მამას გზაზე.

— როგორ? აქამდის ავათ იყავი, თუ? ჰქითხა შეშინებულმა მამამ.

— არა, მაგრამ ჩემი საიდუმლო მაწუხებდა; ახლა კი კოლვილის ცოლის დას გავუზიარე ის და მოვისვენე.

— არა მგონია. რომ მაინც არ წამოგცდეს ეგ შენი საიდუმლო ამ დღეებში! ჩემი დაბადების დღემდე ხომ ჯერთი კვირაა!

— მართლა? მე კი მეგონა, რომ ის უფრო ახლოს იყო. — ამოიოხრა ბავშვა. — ახლა კი სხვა რამეზე ვილაპარაკოთ.

— კარგი. რაზე ვილაპარაკოთ? ჰო, მართლა, ამ სალამის მე ორ სტუმარს ველი. ისინი ღამეს გაათევენ ჩვენსას და ხვალინდელ დღესაც ჩვენთან ერთათ გააჭარებენ. ახლა შენ

სახლში მიგიყვან, დაგტოვებ, მე თითონ კი სადგურზე წავალ,  
მათ შესახვედრათ

- კარგი კაცები არიან შენი სტუმრები?
- კი, ძალიან კარგები.
- ახალგაზღები თუ მოხუცები?
- ერთი ჩეპზე ბევრათ უხნეა, მეორე...
- აბა სულ გაჭარებული იქნება?
- არა, ცოტათი. მეორე ჩარლსის ხნისაა.
- იცის ისეთი კარგი ამბების მოყოლა, როგორც ბიძა  
ჩარლსმა?
- არა მდონია.

— მამა, იცი, მე და ვილლიმ ერთი ხე გამოვნახეთ ტბის  
პირას; ამ ხეს სწორეთ ისე აქვს გაწვდენილი წყლისაკენ ერ  
თი ტოტი, როგორც იმ ხეს, რომელზედაც ბიძა ჩარლსმა  
გვიამბო. ჩვენ ვაპირებთ შევცოცდეთ იმ ხეზე, გავიდეთ იმ  
ტოტზე და იქიდან წყალში ჩავიხედოთ, სწორეთ ისე, რო-  
გორც იმ კაცმა, რომელზედაც ბიძა ჩარლსმა გვიამბო.

— არა, ჯორჯ! — სასტიკათ შეაწყვეტინა მამამ. — მე ამი-  
კრძალავს თქვენთვის ეგ! ვიცი რა ხეზედაც ლაპარაკობ! ის  
ტოტი, რომელიც ტბისკენაა გაშვერილი, სულ დამპალია,  
ზედ რომ შედგეთ, უთუოთ მოგიტყდებათ და ორივე წყალში  
ჩავარდებით.

ჯორჯი შეწუხდა.

— დარწმუნებული ხარ, მამა, რომ ის ტოტი მართლა  
დამპალი?

— სრული დარწმუნებული ვარ, და ერთხელ კიდვე გი-  
მეორებ, სასტიკათ ამიკრძალავს თქვენთვის ორივესთვის იმ  
ხის მიკარება.

— კარგი! — ამოითხრა ჯორჯმა. — ზედ არ შევალთ, მაგ-  
რამ ნუ თუ შეხედვაც არ შეიძლება იმ ხის? თუ სიტყვას  
მოგცემთ, რომ ზედ არ ავცოკდებით. ნებას მოგვცემ, რომ  
ისე, ტყუილა წავიდეთ მის სანახავათ?

— არა, არა, არც მაგის ნებას გაძლევთ. არ ადეს, არა-  
ოდეს არ წახვიდეთ მარტო ტბასთან. დამპირდი, რომ არ წა-  
ხვალთ.


— რისთვის უნდა დაგვიშალო ტბასთან წასვლა? — ამოი-  
ოხრა ბავშვა.

— სწორეთ გიშლით, გესმის თუ არა? სრულებითაც არ  
მინდა რომ ვილლი ხელ ახლავ განსაცდელში ჩაგდო.

ბოლოს ჯორჯი, როგორც იქნა, დაპირდა, არ წავალ-  
თო, თუმცა უნებლიერ გაიფიქრა გულში: „ეჰ! რისთვის  
ეპირდები? ხომ სულ ერთია, მაინც დამავიშყდება ეს დაპირე-  
ბაო!“

სახლში მამამ ჯორჯი ვირეინის ჩაბარა, თითონ კი საღ-  
გურზე წავიდა სტუმრების შესახვედრათ.

ელ. წვრეთელი.



## ღარიშების მეგობრები.



III

ამდენათ დააფასა მორის მთავრობამ  
 მისი რჩევა, იქიდანაც ცხადათ მტკიც-  
 დება, რომ მორი სიკვდილით დასა-  
 ჯეს. მორის კარგმა რჩევამ მთავრობა-  
 ზე და ორდებზე ვერავითარი გავლენა  
 ვერ იქნია; ისინი მართლაც შეუდ-

გენ ერთგულათ კერძო საკუთრების მოსპობას, ხოლო სპობდენ  
 გლეხების საკუთრებას თავისი საკუთრების გასადიდებლათ.  
 მორის შემდეგ ინგლისის ხალხმა სხვა ხალხებთან შედარებით  
 მაინც მოიპოვა თავისუფლება, რიგიანი ცხოვრება, ხოლო ეს  
 ინგლისის ხალხს მთავრობის კეთილმა გულმა და ზრუნვამ კი  
 არ მიანიჭა, არამედ ბრძოლამ; ინგლისის ხალხს თავისუფლება  
 სხვებზე უფრო უყვარდა, იბრძოდა თავისუფლებისათვის და  
 კიდეც მოიპოვა ის სხვებზედ ადრე; განვითარდა ინგლისში  
 მრეწველობა, ზღვაოსნობა, სხვა ქვეყნებში გადასახლება და თა-  
 ვისუფლებასთან ერთად ხალხმა უკეთესი ცხოვრებაც მოიპო-  
 ვა, ხოლო ევროპის დანარჩენი სახელმწიფოები ისევ უნუ-  
 გეში მდგომარეობაში იყვენ; მთავრობა ყველგან თავისი სურ-  
 ვილისამებრ პარპაშობდა და ისე აწარმოებდა ქვეყნის საქმეებს,  
 როგორც მას უნდოდა; ხალხს ყველგან სული ჰქებოდა მო-  
 ნობაში და სიღატაკეში, ამიტომ მორის მიერ დაწყებული მე-  
 ცადინეობა კარგის რჩევით ხალხის გაბედნიერებისა სხვებმა  
 განაგრძეს სხვა-და-სხვა სახელმწიფოში.. ერთი მათგანი იყო  
 ტომაზო კამპანელლა.

კამპანელლა დაიბადა 1568 წელს კალაბრიაში. პატარა-  
 ობიდანვე ის გაიტაცა სწავლამ და მშინდელ დროსთან შედა-



რებით საუკეთესო განათლება მიიღო, შეისწავლა მთელი მეცნიერებისა და მწერლობისა და ფილოსოფიისა და შემდეგ დაიწყო მოგზაურობა სხვა და სხვა ქვეყნებისა და ხალხის ცხოვრების შესასწავლათ. იტალიაში დაბრუნებისათანავე ის შეუდგა მწერლობას; მისი თავის ფალი აზრებისათვის მთავრობაში და სამღლდელოებაში მას დევნა დაუწყო და შემდეგ საუკუნე ციხე მიუსაჯა. 1599 წლიდან 1626 წლამდე ის საპყრობილები იჯდა, შემდეგ გაანთავისუფლეს და საფრანგეთში გადასახლდა. ციხეში ის ბევრჯელ აწამეს, დატანჯეს, მაგრამ მას აზრები ვერ შეაცვლევინეს. როგორც იყო, ისეთი დარჩა სიკვდილამდე. ციხეში მან დაწერა ბევრი თხზულება, რომელთა შორისაც საყურადღებოა „მზის ქალაქი“. ამ თხზულებაში კამპანელლა ჰქანავს მორს. მისი ქალაქი იმყოფება ტაპრობანის კუნძულზე. მცხოვრებლები არიან წმინდა კომმუნისტები, მათ არავითარი კერძო საკუთრება არა აქვთ, რადგანაც მათის რწმენით კერძო საკუთრება ყოველგვარი ბოროტებისა და უბედურების დედა საზოგადოებაში, მათ ყოველისფერი საერთო აქვთ: მიწაც, სახლებიც და სხვ. ბავშებს ორ წლამდე იქ დედები ზრდიან, შემდეგ მთავრობა ართმევს დედებს და საზოგადო სახლებში ზრდის ვაჟებს ცალკე და ქალებს ცალკე. ყველა სრულ წლოვანი ვალდებულია იმუშაოს დღეში ოთხი საათი; დანარჩენ დროს ის თავისუფალია და შეუძლია ისე მოიხმაროს, როგორც მას უნდა. ყოველგვარ საქონელს აგროვებენ საზოგადო საწყობებში და აქედან მიაქვს ყველის, რაც სჭირდება. ფულს ისინი არა ხმარობენ და ზედმეტ საქონელს უცვლიან სხვა სახელმწიფოებს და ნაცვლათ ართმევენ იმას, რაც მათს ქვეყანაში არ მოიპოვება. უმაღლეს მთავრობას შეადგენს ერთი მთავარი და სამი მინისტრი; ყველა ამათ ხალხი იჩეებს საუკეთესოთ განათლებულს და ნიჭიერ პირებს შორის.

როგორც პეტერი კამპანელლი თითქმის იმასვე იმეორებს, რასაც პლატონი და მორი. პლატონი დიდი მტერი იყო კერძო საკუთრების. პლატონის აზრით ყოველგვარი უთანასწორობა საზოგადოებაში იწყება კერძო საკუთრებიდან,

რომელიც ყოველთვის ისე ნაწილდება, რომ ზოგს შეურიცემული ზოგს სულ არაფერი. კერძო საკუთრება აჩენს საზოგადოება-ში ბევრ მუქთახორებს, რომლებიც სრულებით უსარგებლო-ნი არიან, რადგანაც თვითონ არა შრომობენ და სხვის ნა-ოფლარს შეექცევიან; ყოველი ცდრლობს თავისი საკუთრების შეძენას სხვის ხარჯზე და აქედან იბადება დავა, შური, უკმა-ყოფილება. ამიტომ პლატონმა თავის სახელმწიფო ზოგისა-თვის სრულებით მოსპოტ კერძო საკუთრება, ზოგს-კი მხოლოთ ცოტა დაუტოვა, რადგანაც ერთბაშათ მისი გაუქმება შეუძ-ლებლათ მიაჩნდა. კამპანელლაც სწორეთ პლატონის თვალით უარპყოფს კერძო საკუთრებას და საზოგადოების მოწყობას ცდილობდა იმის მზგავსათ, როგორც მორი. კამპანელლას უთანასწორობისა და უსამართლობის მოსასპობათ საზოგადოე-ბაში საჭიროა: 1) კერძო საკუთრების სრულებით\* მოსპობა და საზოგადო საკუთრების შემოლება, 2) შრომის ვალდებუ-ლობა ყველა სრულ-წლოვანისათვის და 3) საზოგადო საქ-მების მართვა-გამგეობა ხალხის მიერ არჩეული პირების შემ-წეობით.

ტომას მორის საქმეს განაგრძობდენ მეთვრამეტე საუკუ-ნეში ორი გამოხენილი ფრანცუზი მორელლი და მაბლი. 1753 წელს მორელლიმ გამოსცა წიგნი სახელმწიფო წყობი-ლების შესახებ. მორელლის სახელმწიფო არაეითარი კერ-ძო საკუთრება არ არსებობს; აქ მიწა, სახლები, ქარხნები, ფაბრიკები, ყოველისფერი ეკუთვნის მთელ საზოგადოებას. სახელმწიფოს შეადგენენ ქალაქები; ყოველ ქალაქს აქვს სა-კუთარი სახნავი მიწები. მუშაობა ყველასათვის სავალდებუ-ლოა; ყოველგვარ საქმეს ხელმძღვანელობენ მცირდნე და გა-მოცდილი პირები. ყოველგვარი ნაწარმოები გროვდება საზო-გადო საწყობებში და აქედან სარგებლობს ყველა. ყველა ბავშები იზრდებიან და სავალდებულო განათლებას იღებენ საზოგადოების ხარჯზე. მორელლი დიდი თაყვანის მცემლია თავის თხზულებაში კომმუნიზმისა. კაცობრიობის უდიდესი მტერი ის იყო, ვინც პირველათ კერძო საკუთრება შემოილო. როდესაც პლატონმა გამოაცხადა საზოგადოებაში მხოლოთ

մանոն ճամփարգեցա ծյջնոյրեցա, հռուս կը քրիմ սայստրեցա մո-  
ուսկոմա, մուսմա ցամոհենուլմա մովացյը արուստությունմա շնասոյ-  
եա: կը քրիմ սայստրեցա հռուս մուսկոմա, Շրոմիս եալուսու և  
սյուրզուլո ալարացու ալար յինցեա, պայլա ցախարմաւցեցա և  
սահոցադուցեցա լուսունցեցա: մորելուսու ուս շնասոյեցեցեց  
մուսունամունցեցեցնո: ամցարո սածուտո մորելունու գուգ Շյ-  
ուլումատ մոսինդա; մորելունու աթրու ալամունու ծյունցեա Շրո-  
մաս ուսեռցւ, եռլու Շրոմաս նոմույրու և առա այստանցըլս;  
կը մմունուստուր սահոցադուցեցա եռտուս և յիշ սատս պայլա  
գուգուս սումունցեցնու ունցաւցեա և յու կո սրուլուցեցնու սայմարո-  
ւու, հռուս պայլաս սայմառու չյունցը պայլուսուցըրուո, ամբու-  
ցեց ուս. ամցարու մորելունու աթրու ցաւունունունու ցասա-  
ծյունոյրեցնու սայուրու կը քրիմ սայստրեցնու սրուլուցեցնու մու-  
նուն և պայլասատցու սայալուցեցնու պայլուսուցըլու Շրոմա:

մորելունու տանամեցնուց մածլուց ամասց ամբուց պայլուց  
մածլունու աթրու սահոցադուցեցա պայլուցցարու շուտանաստուրունուն,  
շնամարտլունունու և յիշեցնուցեա ծյուց մեռլուտ կը քրիմ սա-  
յստրեցնա; ուս հռուս առ ուղու, առու մըուցարու ոյնցեռուա, առու  
լարունու, պայլա տանաստուրու ոյնցեռուա և յուրմաներուտնու մըրո-  
ւունուն և յիշունուն չունուս ցասայելուցեցնու, սայստարու պեռցու-  
նունուն մուսաստուրու, ալացու ալար յինցեռուա: յնդա մուսկոմա  
կը քրիմ սայստրեցա և ճաարսցը կը մմունունու անյ սայրու սա-  
յստրեցնա. հա յիտ Շյունցը կը մմունունու ցանեռուսուցընուց  
յանոնմցեցնունու, ցայցնունու մածլու. մովաս յնդա ճայցաս  
գուգուս ցալասասացնու, հռուս մուսմա პաւրունենու եցլու առուն  
նուց. ցայրունու, մըմցուուրունու, անցրու և սեզ. յնդա այս-  
րունունու յանոնուտ; ճրուտա ցանմացլունունու մույլու սայստրեցն  
սահոցադուցեա ճաարիցնա, պայլա Շրոմաս մուկուցնու եցլու, սա-  
յելունու մուսայեցնու պայլունու ալամունու յուցեցնա տացուսու Շրոմուն  
ցանցուցույրեցնու և ամցարու սահոցադուցեցա պայմարտլունու,  
սուլարունու և յուտանեմուցնա մուսկոմա, — առ մածլունու աթրեցնու.  
հռունու չեցաւու, մածլուց ուրս համեց ուսեռցւ սահոցադուց-  
նունու ցասածյունոյրեցնու: կը քրիմ սայստրեցնու մուսկոմաս և պայ-  
լասատցու սայալուցեցնու պայլուսուցըլու Շրոմա:

## დარჩიბების მეგობრები

ყოველივე ეს ძალიან კარგია, მაგრამ რა გზით შეიძლება  
 ამგვარი წყობილების განხორციელებაო, იკითხავთ თქვენ.  
 პლატონი გიპასუსებსთ: მეფემ და მთავრობამ უნდა განახორ-  
 ციელოსო, მაბლი ცდილობს კანონმდებლობით შემოლებას  
 კომმუნისტური წყობილების; რადგანაც კანონმდებლობა მთავ-  
 რობის ხელშია, ამიტომ ცხადია, მაბლისაც პლატონივით მთავ-  
 რობის იმედი ჰქონდა. მორი, კამპანელლა და მორელლი იმე-  
 დოვნებდენ, როდესაც ხალხი და მთავრობა დარწმუნდება  
 ახალი წყობილების სიკეთეში, ორივე ერთათ შემოილებენ მა-  
 სო. ამგვარათ ყველა ესენი მთავრობაში ჰქილავდენ იმ ძალის,  
 რომელსაც კომმუნისტური წყობილება უნდა განეხორციელე-  
 ბია. ყველა მთავრობის მაგიერ კრომკლმა საუცხოვოთ უპა-  
 სუხა ამგვარი იმედების პატრონებს: მელანი ვერ დამატოვე-  
 ბიებს იმას, რაც მე ხმლიო მიჭირავს!! წარმოიდგინეთ, რომ  
 თავვები შეიყარენ და გადასწყვიტეს: ჩვენი ბედნიერებისათვის  
 საჭიროა, რომ კატას ზარა შევაბათო. გაიმართა თათბირი,  
 როგორ და რა გზით შევაბათო და ბოლოს დაადგინეს: ვთხო-  
 ვოთ კატას, რომ თვითონ შეიბას ზარა. საბრალო თავვები!  
 უფრო სულელები ჰყოფილან, ვიდრე მე მეგონაო, იტყვით  
 თქვენ. სწორეთ ამგვარ სულელ თავვებათ თვლიდა ფრანცუ-  
 ზი ბაბეფი ყველას, ვისაც მთავრობის იმედი ჰქონდა. ბაბეფი  
 ღრმათ დარწმუნებული იყო, რომ ყოველი მთავრობა მხო-  
 ლოთ თავისთვისა ფიქრობს და არა ქვეშევრდომთათვის და  
 ამიტომ კომმუნისტური წყობილების განსახორციელებლათ სა-  
 ჭიროა ბრძოლა მთავრობასთან. თავის იმედებს ბაბეფი ამყა-  
 რებდა მხოლოთ ძალ-ღონეზე და ამიტომ მან გიდასწყვიტა  
 ბრძოლა არსებული წყობილების დასამხობათ საფრანგეთში,  
 კერძო საკუთრების მოსასპობლათა და კომმუნიზმის განსახორ-  
 ციელებლათ. ამ მიზნით მან მოახდინა შეთქმულობა, შეად-  
 გინა ფარული წრე, რომლის ერთმა წევრმა მარეშალმა გამო-  
 სცა მანიფესტი, რომელშიაც სხვათა შორის ეწერა: რესპუ-  
 ბლიკის ყველა მოქალაქენი თანასწორნი არიან, კერძო საკუთ-  
 რება ისპობა და ყოველისფერი საერთო საკუთრებათ ხდება;

მემკვიდრეობა, კერძო ვაჭრობა და ფული ისპობა; ყველა ვალდებულია იშრომოს და შრომაში იღებს ყოველისუერს, რაც მისთვის საჭიროა და სხვ. ის იყო, ბაბეფი და მისი ამ-ხანაგები აპირებდენ ამბოხებას და მთავრობისა და მდიდრების ამხოცვით თავისი მიზნის განხორციელებას, მაგრამ მთავრობამ გაიგო, ბაბეფი დაიჭირეს და 1797 წელს სიკვდილით და-საჯეს.

ი. გომართელი.

(შემდეგი იქნება).

გ ა ს ა რ თ ო ბ ი.

ამაზი პასუხი.

(გერმანულით)



რთხელ ისპანიის მეფემ, ფილიპე II, ახლათ არჩე-  
ულ პაპას აახლა სუდ ახალგაზრდა აზნაურშვი-  
ლი. ღრმათ მოხუცებული პაპა განცვიფრდა რომ  
მეფემ ასეთი ბალდი აზნაურიშვილი გაუგზავნა და გაკვირვე-  
ბით იკითხა: „ნუ თუ ისპანიის მეფეს არ მოეპოვებოდა სხვა  
კაცი; რომ უწვერ-ულგაშო ყმაწვილი არ გამოეგზავნა ჩემთან?—  
ჩემი მეფე რომ წვერის ამოსვლას ღირსებათ თვლიდეს,  
უპასუხა იმაყათ ყმაწვილმა, მაშინ თხას გამოვიგზავნიდათ და  
არა კეთილშობილ აზნაურიშვილს.”

ი.

ერთხელ მასწავლებელმა ჰკითხა მოწაფეს:

— რამდენი გრძნობა გაქვს?

— ოთხი, ცოტათი დაკვირვების შემდეგ უპასუხა მო-  
წაფებ.

— აბა ჩამოთვალე?

— მხედველობა, სმენა, გმოოვნება და შეხება?

— განა ყნოსვა კი არა გაქვს?

— არა, საშინელი სურდო მჭირს, უპასუხა მოწაფემ.